# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
კონტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე — ოთხშაბათი, თებერვლის 25 1920 წ. № 42 — ფასი 4 მან.



ღრმად დამწუხრებულნი შვილნი ნიდეჟდა, იოსები და გიორგი ვგენაძეს ძენი და შვილის შვილები ლილი და ირა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ქუთაისში მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი დედა-ბებია

## ალათი გიგოს ასული ვ შაპიძისა

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 5 საათზე ქ. ქუთაისში საკუთარ ბინაზე, ჰოსპიტლის ქუჩა. გამოსვენება და დაკრძალვა ს. გუბში 26 თებერვალს.

ღრმად დამწუხრებულნი შვილი კესარია ივნატეს ასული, სიძე გრიგორი კონსტანტინეს ძე გუგუშვილი და შვილის შვილი ქუკუნია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ქუთაისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი დედა

## ალათი გიგოს ასული ვაშაკიძისა

გამოსვენება და დაკრძალვა ს. გუბში 26 თებერვალს.

ღრმად დამწუხრებულნი დავითი სესიას ძე ირინე გიგოს ასული ტარასი, კოწია და ვასასი დავითის ძენი, თამარ სიმონის ასული და ნინა იოსების ასული ვაშაკიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ქუთაისში 22 თებერვალს გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი პირველის რძალი და სხვანის ბიცოლა

## ალათი გიგოს ასული ვაშაკიძისა

დაკრძალვა 26 თებერვალს ს. გუბში. (1 2892 1)

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ პირთ, რომ 29 თებერვალს 1920 წ. დილის 11 საათზე ქ. თბილისში, ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნება

## საქართველოს მეაბრეშუმეთა ყრილობა

დასწრება შეუძლია ყველა მეაბრეშუმეს. ერობები, ქალაქის გამგეობანი, საკრედიტო და სხვ. საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენელთ. აგრონომთა დასწრება თავისუფალია. რაიონებიდან და ადგილებიდან მოხსენებების წარმოდგენა მოკლედ და გარკვევით სავალდებულოა.

წინასწარი ჩაწერა და ცნობების მიღება შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის მდივანთან გრაფის ქუჩა № 2. ტელ. 6—43. თბილისი. 2864 3—3

## ქართული კლუბი

ოთხშაბათს თებერვლის 25-ს

რუსული დრამის „ტარ...ოს" მიერ წარმოდგენილი იქნება

## ჩემი მხედარი

მხიარული კომედ. 3 მოქმ.

მონაწილეობს მთელი დასი

დასაწყისი 9 ს. რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი

კლუბში შესვლა საზოგადო წესით.

28 2 2



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა")

ოთხშაბათს 25 თებერვალს

ბოშური რომანსების მომღერლის

ევგენი ალექსანდრეს ძის

სერგეევის

პირველი კონცერტი.

## მეორე ქართული კლუბის

მამასახლისთა საბჭო

აცხადებს, რომ კვირას, 29 თებერვალს დილის 10 საათზე დანიშნულია კლუბის წევრთა

## წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება წლის მოქმედებისა.
2) წლიური ანგარიში.
3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
4) ურთიერთობის დამხმარე კასის ინსტრუქცია და სხვა მიმდინარე საკითხები.
5) არჩევნები: მამასახლისთა, სარევიზიო კომისიისა, კლუბის წევრთა და კანდიდატთა. 29 1—1



პირველ-ხარისხოვანი

ცირკი „პრისტენს"

ვერის დაღმართზე. ტელ. 6—62.

ოთხშაბათს, თებერვლის 25 ს 1920 წ.

გაიმართება დიდი წარმოდგენა, მონაწილეობენ ედრობაში გამოჩენილნი:

— მისტერ გორტონი —

თბილისელი კინტო, გ. მესტიევი. საერთაშორისო ფალავანების ჭიდაობის გაგრძელება. პრემია—30000 მან. იჭიდავებენ გადამწყვეტი რევანში. ბუიგოლდოვი—კოლია ქვარიანი ნეიზვესტნი—მოზინგი მაკაროვი—ერმაკოვი

წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს. ჭიდაობის დაწყება ღამის 11 ნახ. ს.

ამ დღეებში შესდგება მისტ. გორტონის გრანდიოზული ბენეფისი.

გამგე—არბიტრი: ვ. კვიატკოვსკი.

მისეილის

ოპერა

პლეხანოვის ქ. 91

დღეს ახლად მიღებული, შესანიშნავი ახალის დადგმით

## „ბოროტ ბედისწერით განწირულნი"

ტრაგედია 5 აქტად ეპილოგით.

მთავარ როლში სახელმწიფო თეატრის მსახიობი ქალი ვ. ვ. მაქსიმოვი

თეატრი ითბობა. ფასები არ არის გადიდებული. სიმფონიური ორკესტრი.

პასუხისმგებელი ადმინისტრატორი ა. კორრედო.

## სახელმწიფო თეატრი

ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, თებერვლის 25-ს

## თქმულება შოთა რუსთაველზე

The Anglo-Asiatic C-o L-td London

## ინგლისურ-აზიური კო- ლტდ ლონდონი

ექსპორტ-იმპორტი, მანუფაქტურა და სახაზიშენო საქონელი.

განყოფილება კონსტანტინოპოლში

Stamboule Djelal Bey Han

ამხ-ბა სარაიო ვაჭრობის ვ. ვილიცკი და კ-ომპ-სკოვი

ქარხანა და კონტორა კონსტანტინოპოლში

Stamboule Djelal Bey Han

ცნობები თბილისში: ა. პროკუპინის, ... ქ. 6. ტელეფ. 1-12.

„ ბაქო. ა. ი. გრუზბინთან. კრასნოვოდსკის ქ. 7. ტელეფ. 43-86

2898 3—1

კინემო მინიონი

თებერვლის 25, 26, 27, 28-ს

ახალი დადგმა! ორიგინალი სიუჟეტი!

პატარა ლამაზი ვარსკლავი ეკრანის

## მარი ოსბორნ

სურათში:

„ორი მზე"

პროგრამის გარეშე ტრაგედია ტარნოპოლთან


## მეტი ლოდინი სახიფათოა!

ბათომი ჩვენი პრესის დღიური წესრიგიდან არ მოხსნილა. რაც დრო გადის, იგი უფრო და უფრო ბოჭავს ჩვენს გრძნობა—გონებას. ყოველი განვლილი დღე ახალ-ახალ შუქსა ჰფენს იმ შეთქმულობას, რომელსაც რუსის ბოლშევიკები და ოსმალეთის ნაციონალისტები აწარმოებენ ბათომის ხელში ჩასაგდებათ. იმდენა პროვოკაციისა და ინტრიგის ქსელები, ბათომსა და ბათომის ოლქში. მრავლად დადიან და მოქმედობენ ოსმალეთისა და ბოლშევიკების აგენტები.

მათი ხელით ირიგება აურიცხელი ფული. აჭარის ხალხის გადაბირება და ამავე დროს ოსმალთა შეიარაღებული ძალის შემოყვანა—აი მათი სამოქმედო გეგმა.

გასაოცარი ისაა, რომ ანარქიის ხელი ასე აშკარად მუშაობს ბათომსა და ბათომის ოლქში და რომ ინგლისის ადგილობრივ მთავრობას არავითარი ზომა არ მიუღია ამ ბოროტების ასაკვეთად.

ბათომის ოლქში მუშაობასთან ერთად, ოსმალეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზედ ხდება შეიარაღებულ ძალთა დარაზმვაც. ცნობები გვაქვს, რომ ხოფაში დგას ორი ათასამდე შეიარაღებული ოსმალო რიზა ბეის მეთაურობით და რომ მიღებულია ზომები შეიარაღებულ ძალთა გასადიდებლად. ყოველივე ეს ბუნებრივ აღშფოთებას იწვევს ქართველ საზოგადოებაში. იგი გულ გრილად ვერ შეხვდება ანარქიის თავისუფალ განვითარებას ბათომის ოლქში და ვერც ბოლშევიკების და ოსმალოს შეთქმულებას ბათომის დასაჭერად. როდესაც ვხედავთ, რომ ინგლისის ადგილობრივი მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს ანარქიის განვითარების მოსასპობად, ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ რომ იგი განზეა გამდგარი და არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს იმაში, რაც ბათომსა და ბათომის ოლქში მოხდება. ასეთ შემთხვევაში ცხადია, თუ რანაირი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია,

ანტანტის მიერ ასე მიტოვებულ ბათომს საქართველო უნდა დაეპატრონოს. ყველა საჭირო ღონისძიება უნდა იქმნეს მიღებული ამ მიზნით. ამას მოითხოვს ქართული საზოგადოებრივი აზრი და მთელი საქართველო. მთავრობა ვალდებულია სწრაფად შეუდგეს ერთს ამ მისწრაფების განხორციელებას.

## მიწის ძვრა საქართველოში

### განადგურებულ გორში

(დასასრული)

**უფლისციხე.**

სად. გრაკალიდან ტრაგედიის სიძლიერე მატულობს. სად. უფლისციხე იმავე სამწუხარო სახეს გვიჩვენებს, როგორც წინა სადგურები. მტკვრის მარჯვნივ მთის კალთაზე გამოკვეთილი უფლის ციხის საისტორიო ნაკვთები ხვრელებისა და თლების სახით გადმოურილნი, დღეს მაყურებელს გულს უზარავენ თვის რყევით. ციხის თავზე ჩამონგრეულ კლდეს ლოდებით მოუცავს მისი კარმიდამო და ეს ლოდები ერთმანეთშია არეული ციხის ლოდებთან.

მის ძირში გაშლილი სოფელი არა ნაკლებ შემზარავ სურათს წარმოადგენს.

მინისტრს ბ. არსენიძეს სადგურზე შეეგებენ ლტოლვილნი და მოახსენეს რომ გარდა უფლის-ციხელთა, დაზარალებულია სოფ. ოხერა და მცხოვრებნი აუტანელ სიმშილსა და სიცივეს განიცდიან ოხერაში და უფლის ციხეში ჯერ ჯერობით 15 სული მიაბარეს მიწას, არიან დაჭრილ დასახიჩრებულნიც. ბ-ნ არსენიძემ მოახდინა განკარგულება რომ სასანიტარო რაზმიდან ექვსი სანიტარი მოეხსნათ ამ სოფლელთა მდგომარეობის სარეგისტრაციოდ მან აქვე დაუტოვა სამი ტომარა გამომცხვარი პური და საჭირო ჩაი-შაქარი. თავმოყრილ გლეხკაცობამ მოახსენა ბ-ნ არსენიძეს, რომ დაზარალებულია სოფლები: უფლისციხე, ციხის ჯვარი, რეხა, კარალეთი ტყვიავი, ხელთუბანი სადაც 19 თებერვლის ღამით 16 სული მოყოლია ნანგრევებს. 20-ში 13, დღესაც არიან დახოცილნი. ხალხი კარშია გამოფენილი. მიწის ძვრა სუსტად განმეორდა 21-ში საღამოს.

„ფეხებზე რომ ყურს უგდებთ ისმის მიწის ნძრევაო". უფლის ციხის სომხის ტერტერამ განაცხადა რომ 12 სული დამარხა, დაიქცა სკოლა სადაც 45 სული მოწაფე სწავლობდა.

**ხიდისთავში**

ჩვენი მატარებელი გავიდა უფლისციხიდან 10 ს. 30 წ. ჩვენ სასოწარკვეთილნი ველოდით მძიმე სურათების ხილვას, ვინაიდან ხიდისთავი წინა კარია გორისა. მართლაც ჩვენ თვალწინ ცოტა ხნის შემდეგ, ერთი მეორეზე გულშემზარავი სურათები გადიშალა. აი ოდესღაც თავმომწონედ გადმომზირალი დიდი სამ სართულიანი ქვიტკირის შენობა ქიტიაშვილისა, დღეს ძირამდე ნანგრევებად ქცეული აი ტყის ქარხანა ზუბმანისა დღეს ნაფოტებად ქცეული თოვლიან მთაზე მოსჩანს ამ სოფლის სასაფლაო ხალხით შევსებული—ეს ხიდისთავის მსხვერპლებს მარხავენ.

ნგრევისა და რყევის სურათები კალეიდოსკოპიურ სისწრაფით იცვლებიან; გადახსნილი სახლები, ჩამონგრეული სახურავები და მთის ლოდები არეული გლეხკაცის კარმიდამოს ერთმანეთში არეული ოდესღაც მყუდრო სოფლის ცხოვრების ძაფის ცვეთას სპობს თქვენს თვალში და არარაობის ცივ ჟრუანტელს გავლებთ სხეულში.

**სტიქიის აპოთეოზი.**

მატარებელი გვაახლოვებს გორის სადგურს. უკვე მოსჩანს გორის ტრაგედიის სურათები გორის ციხის დანგრეული კალთები. ვბრუნდები ისევ სადგურისკენ, რომელთანაც უკვე გაჩერდა ჩვენი მატარებელი. შუხლი გეკრიფება. მატარებლიდან ჩამოსვლა გიმძიმს. შეჰყურებ სადგურს და თვალს არ უჯერებ ერთი საღი ნაწილი, ერთი საღი კუთხე არა არის შიგ და გარედ დარჩენილი. აი ერთი შებერვაც და სადგურის დაძაბუნებული შენობაც მიწაზე განერთხობა.

ვშურები ქალაქისკენ იქნებ იქ თვალით დარწმუნდე სინამდვილის სიცრუეში...

ვაგლახ სადგურიდან მოყოლებული მთელ ქალაქში ვერც ერთ ცოცხალს შენობას ვერ იპოვით დაწყებული დიდ საზოგადო და კერძო შენობებიდან ვიდრე ულარიბესთა ქუნამდე. აი ქუდისი შენობა ქალაქის შესავალში ქალთა გიმნაზიისა ძირამდე შერყეული. გადმონგრეული საკურთხეველი გიმნაზიის ტაძრისა მოსჩანს კანკელი. გადავარდნილ ჯვრით. მომიჯნავე შენობაზე დროშებივით ჰაერში ფრიალებს სახურავის თუნუქის ფურცლები, ჩამოწოლილ ხის კოჭებს პირი დაუღიათ, რკინის და ხის ძიგნებს თითქმის ყველა შენობებზე პირველობა დაუსწრიათ ჩამოწოლისა და ნგრევის დროს, და ასე ამგვარად მარჯვნივ და მარცხნივ საზარელი ლანდები ნგრევისა თქვენ არ გშორდებიან ერთ წუთს, რომელ ქუჩაზედაც გსურთ გახვიდეთ. პირიქით ერთ ჯოჯოხეთურ სანახაობას მეორე გულსაზარავი ნანგრევი სცვლის და არ იცი რომელ სანახაობას უფრო დიდი კოცონი დაუნთია სისასტიკისა.

გაიხედეთ. გინდ გორის ჯვრის მთისკენ საიდანაც ოდესღაც არწივის ბუდესავით მოსჩანდა სახე ამ დიდებულ სავანისა დღეს ძლივსღა გორის სადარაჯოდან. აიარეთ დახურულ ბაზრისკენ ამ ქალაქის ძველ უბნისკენ ან კი გაიკვლევთ გზას ნანგრევებში? მთელი ბაზრის შენობები პირქვე დამხობილა. ან რა თვალით უნდა შეხედოთ ოქონის ტაძარს დღეს ძირამდე დარღვეულს ან მის პირდაპირ სომხეთა სამ სართულიან ტაძარს მიწაზე დაცემულს გუმბათიდან კარის ბჭემდე. ან ებრაელთა უბნის ბინებს, სომხის მეორე წმ. სტეფანეს ტაძარს ფოსტის შენობას ძირამდე დაქცეულს და ეს საერთო საზარელი სანახაობა საითკენაც იწვევს ტყის ნადირსავით გავარდნა გსურს შორს რომ არ დაინახო ეს ადამიანთა სიშიშვლის სადგური.

**ლტოლვილნი.**

აკი დაცარიელებულა კიდეც ქალაქი. ჩარდახიან ურმებს და ქვეითა ხალხს გორიდან ლტოლვილთ გზას ვერ აუქცევ. დიდი და პატარა მიშურება ჯგუფ-ჯგუფად უცნობ ბოგანოთა გზისკენ კერა გაციებულნი.

**ფარდულები.**

ვისაც ეს უკანასკნელი სახსარიც მოუსპობია, მათ ტრიალ დაცემულ ადგილებში გაუშლიათ კარავ-ფარდულები დაუნთიათ ცეცხლი და დღე ღამესთვის გაუსწორებიათ მოულოდნელობის და ათასგვარ საეჭვო ხმებით შეპყრობილნი.

**საეჭვო ხმები**

საერთო უბედურებას ზედ დართვია ათასგვარი ეჭვი და ჭორები გავრცელებული ქალაქში მოცლილთა მიერ. ჩვენს იქ ყოფნაში ბევრი ჭორი გავრცელდა ხან „ობსერვატორიის" ცნობების სახით ხან მკითხავ-კუდიანების, და ეს ხმები თავზარდაცემულ ხალხის ფსიხიკას ბოჭავს ათასგვარ ეჭვით და შიშით მიწის რყევის განმეორების უცხო რამ საშინელ ხითხის ამოხეთქვის და ახალ უბედურების დართვის მოლოდინში.

**მიწის ძვრის განმეორება**

თუმცა სუსტად მაგრამ მიწის ძვრა რამდენჯერმე განმეორდა გორში ჩვენ იქ ყოფნაში სულ მცირე სიძლიერით.

**მთავრობის დახმარება**

ჩვენმა მატარებელმა მთავრობის დამხმარე კომიტეტის სახით პირველი დახმარება ჩაუტანა დაზარალებულთ კვირას 22 თებერვალს დილის 11 საათზე. 5 ვაგონით ჩამოტანილ იქმნა პური, ჩაი, შაქარი, ჭურჭელი, სათბილობლები და სხვა და სხვა სანოვაგე.

**სავები პუნქტები**

მთავარ რწმუნებულ ექიმ ზანდუკელის ინიციატივით დაარსდა იმავე დღეს 9 საკვები პუნქტი ქალაქში და სადგურის ახლოს.

**დამცველი კომიტეტი.**

ჩვენ ჩასვლამდე გორში დაარსებულიყო თავდაცვის კომიტეტი. თავმჯდომარედ დ. ონიაშვილი მდივნად ა. ჩუტკერაშვილი.

**ფუნქციების განაწილება.**

კომიტეტის თავმჯდომარეს დაევალა საერთო ხელმძღვანელობა. ექიმ კობერიძეს სანიტარულ ნაწილის მოწყობა და გამგებლობა (მიცვალებულთა დაკრძალვა ავადმყოფ დაჭრილთა პატრონობა და სხვ.) ი. ი. გაბუნიას—თავდაცვის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამულიშვილნო, გაიღეთ სწრაფად და უხვად! მიწის ძვრით გაუბედურებულ მოძმეთ აღუდგინოთ დანგრეული კერა!

## დღეს:

ლლოიდ ჯორჯმა ქვედა პალატაში განაცხადა: ბრიტანეთის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას აუწყა, რომ საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე პოლონელთა დაცემას ინგლისი მხარს არ დაუჭერს. ამის მიხედვით საფრანგეთიც შესცვლის თავის პოლიტიკას, რომელიც ბოლშევიკებთან დამოკიდებულების წინააღმდეგი იყო.

ლიტვის პრემიერ მინისტრის განცხადებით ლიტვა მზად არის საბჭოთა რუსეთთან ზავი შეკრას.

თევქიფ-ფაშა ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა.

---

## წერილები:

მეთაური—მეტი ლოდინი სახიფათოა!
— მიწის ძვრა საქართველოში.
— სასოფლო მეურნეობა.

---

ევაკუაციის ნაწილების გამგებლობა. მ. ი. კლიმიაშვილს—სასურსათო და ბინის ნაწილების მოწყობა და გამგებლობა.

**კომენდანტების დანიშვნა.**

კომენდანტებად დანიშნულ იქმნენ ქალაქში სახალხო გვარდიის ბათალიონის უფროსი ჩიკოიძე და სადგურზე გვარდიის ოფიცერი ნინიაშვილი.

**ინფორმაცია.**

დამცველ კომიტეტმა დაადგინა გამოშვებულ იქმნეს ბიულეტენები რომლითაც ამცნოთ მოქალაქეთ რომ დაარსებულია კომიტეტი მოქალაქეთა დახმარების აღმოსაჩენად.

**ნაძირალნი**

ქალაქში ნაძირალთა თარეშის წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. 21 თებერვალს ღამით ნაძირალთ გაუქურდავთ პირველ ხარისხის რესტორან „პურ-ლეინოს« პატრონი ბ. აბაშიძე. წაუღიათ 70 ათას მანეთის ავეჯი.

**ბ-ნ რამიშვილის ჩამოსვლა.**

ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე ქალაქში ჩამოვიდა ბორჯომიდან შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნ. რამიშვილი, ადმინისტრაციის ინსპექტორ ბ. გეგელაშვილის თანხლებით. ბ-ნ რამიშვილმა ჩამოსვლისათანავე დაათვალიერა ქალაქი და ინახულა ქალაქის წარმომადგენელნი.

**შეერთებული სხდომა.**

იმავე დღეს ნაშუადღევის 5 საათზე შესდგა პირველი შეერთებული კრება გორის თავდამცველ კომიტეტის და მთავრობის კომიტეტის წევრთა ბ-ნ არსენიძის თავმჯდომარეობით. მიღებულია მთელი წყება ზომებისა უმწეოდ დარჩენილ მოქალაქეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. სხვათა შორის ამ კრებაზე დადგენილ იქმნა:

**ევაკუაცია**

მოხდეს მოქალაქეთა ევაკუაცია ბორჯომსა და სურამში ვიდრე ქალაქის ბედი საბოლოოდ გამოირკვევა.

**სარესტავრაციო კომისია.**

დაარსდა სარესტავრაციო კომისია ინჟ. ბურჯანაძის თავმჯდომარეობით.

ქ. გორი. 22 თებერვ. 1920 წ.

**დ. პავლიაშვილი.**

## მთავრობის საგანგებო კომიტეტში

რესპუბლიკის მთავრობის თებერვლის 20-ის სხდომაზე არჩეული საგანგებო კომიტეტი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად არჩევისათანავე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. კომიტეტში შედიან: იუსტიციის მინისტრი რ. მ. არსენიძე (თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი და ერობათა კავშირის წარმომადგენელი პ. ჭიჭინაძე, (თავმჯდომარის ამხანაგი) დამფუძნებელ კრების წევრი ივ. გომართელი, თბილისის ქალაქის თავი ბ. ჩხიკვიშვილი, ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი მ. ზანდუკელი, რკინის გზის წარმომადგენელი ვ. ბარკალაია მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი დ. ათაბეგი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო-სანიტარულ განყოფილების უფროსი სვ. ჯაფარიძე, პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარე ხელაია, მისი ამხანაგი ს. დობორჯგინიძე და იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გ. ჟორდანია, (კომიტეტის საქმეთა მმართველი).

კომიტეტის სხდომები იმართება ყოველ დღე, დილის 10 საათზე, იუსტიციის მინისტრის კაბინეტში, იქვე დაწესებულია მუდმივი მორიგეობა კომიტეტის წევრების. კომიტეტის ტელეფონები: 13-56, 17-57, 10-51, 1-03.

პირველი ზრუნვა კომიტეტისა იმაში გამოიხატებოდა, რომ მოეწყო მიწის ძვრისაგან დაზარალებულ შენობების დათხრა მიცვალებულების და დაშავებულთა შველა, რისთვისაც გორში გაიგზავნა საჭირო ტექნიკური პერსონალი და საპიონერო რაზმი, ეს საქმე ამ ჟამად უკვე დამთავრებულია, მიცვალებულ - დაშავებულები ამოთხრილნი არიან, მიცვალებულებს გორშივე ასაფლავებენ საერთო სასაფლაოზე, დაშავებულნი თბილისში ჩამოიყვანეს და სხვა და სხვა საავადმყოფოებში მოათავსეს.

ამავე დროს კომიტეტი ზრუნავდა და ზრუნავს გადარჩენილ დაზარალებულთა უზრუნველ ყოფას ბინით და საჭმელ-სასმელით. ამისთვის გორში მრავლად გაიგზავნა სანიტარული ვაგონები, კარავები, ფიცრები ბარაკების ასაგებად, თბილი იურტები და „ფეჩები" მათ გასათბობად, რამდენიმე 1000 კომპლექტი ტანისამოსი, საცვალი და ფეხთსაცმელი, მოძრავი სამზარეულოები და სხვ. გაიგზავნა მრავლად ჩაი-შაქარი (500 ფუთი), კონსერვები, პური (დღეში 600 ფუთი იგზავნება), რამდენიმე ვაგონი შეშა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული დაზარალებულთა მწყობრ ევაკუაციას, მათს ახალ ადგილებში მოწყობას და სურსათით უზრუნველყოფას დეპეშით იქმნა განკარგულება გაცემული, რათა დამზადებულ იქმნას ბინები ყველგან, სადაც კი ეს მოსახერხებელია, სახელდობრ ხაშურში, სურამში, ბორჯომში, ქუთაისში, სამტრედიაში და სხვ. საპასუხო დეპეშებიდან ირკვევა, რომ ყველგან უკვე შეუდგნენ სამზადისს, მზად არიან მიიღონ დაზარალებულნი, მოუწყვიათ მათთვის ბინები, მოუმარაგებიათ მათთვის საკმაო სურსათი და სანოვაგე. თბილისში რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულია რამოდენიმე ოთახი სასტუმროებში „სვეტში", „იბერიაში" „ვოსტოკში" და „ფლორენციაში". ამათგან „სვეტში" 23 ოთახი დანიშნულია დაზარალებულ რკინის გზის მოხელეებისათვის თბილისის სადგურზე დაწესებულია ნ. ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით, მუდმივი ბიურო, სადაც დღე და ღამ განუწყვეტელი მორიგეობა სწარმოებს.

კომიტეტს მრავლად მოსდის სხვა და სხვა კუთხიდან, დაწესებულებათაგან და კერძო პირთაგან წინადადებანი ფულით და შრომით დახმარების შესახებ.

საქმის უკეთესად გასაძღოლად გორში დაარსებულია კომიტეტის განყოფილება დამფუძნებელ კრების წევრის დ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით, ერობის, ქალაქის თვითმმართველობის, სახალხო გვარდიის და მუშათა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების მონაწილეობით. მთავრობის საგანგებო კომიტეტის ადგილობრივ რწმუნებულად დაინიშნა მ. ო. ზანდუკელი. სურამ-ხაშურ-ბორჯომის რაიონში კომიტეტის რწმუნებულად დაინიშნა ექიმ გულისაშვილი, მის თანაშემწედ განსაკუთრებით ბორჯომის რაიონისთვის ექიმი კანდელაკი. ტეხნიკურ ნაწილის ხელმძღვანელობა დაევალა ინჟ. ბურჯანაძეს.

კომიტეტის დადგენილებით, უნდა მოხდეს დაწვრილებითი აღწერა-ფიქსაცია მომხდარ უბედურებისა, რის ხელმძღვანელობაც დაევალათ დამფუძნებელ კრების წევრთ ივ. გომართელს და პ. გელეიშვილს, რომელნიც უკვე გაემგზავრნენ გორში. იქვე გაიგზავნა ფოტოგრაფი. მიღებულია ზომები აგრეთვე მცხოვრებთა ზარალის რაოდენობის გამოსარკვევად. ამისთვის დაზარალებულ რაიონში გაიგზავნება საგანგებო კომისია იუსტიციის და ფინანსთა უწყებისა. სახელმწიფო კონტროლის და ადგილობრივ თვითმართველობათა წარმომადგენელთაგან.

შაბათს, თებერვლის 21-ს, ღამით გორში გაემგზავრნენ კომიტეტის თავმჯდომარე რ. არსენიძე, კომიტეტის წევრები ივ. გომართელი, სვ. ჯაფარიძე, მ. ზანდუკელი და სხვ.

## იტალიის მისიის საგანგებო რაზმის გაგზავნა

განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საერთო საქმეს იტალიის მისიის მიერ გაგზავნილმა საგანგებო რაზმმა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი დაზარალებულთათვის დახმარების მოწყობას. რაზმმა დასცა კარვები, მიაწყო საექიმო დახმარება, დაურიგა დაზარალებულთ თბილი ტანისამოსი, საბნები მედიკამენტები და სხვა.

საერთოდ, იტალიელების მისია დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ქართველ ერს მიხდამი წილხვდომილ უბედურობისა გამო. აი რასა სწერდა მისიის მეთაური სენ. კონტი საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს იმ დღეს, რა დღესაც დატრიალდა უბედურობა:" თქვენის ქვეყნის უბედურებამ თავზარი დამცა. მით უმეტეს ვარ აღელვებული, რომ ვიცი ამ გვარ უბედურების ყოველი შედეგი, რაც ჩემს სამშობლოში ხდება. გიძღვნით ულრმესს და გულწრფელს თანაგრძნობას და ვდარდობ, რომ მისია იმდენად მოწყობილი არ არის, რომ დაეხმაროს თქვენ თანამემამულეთ. მე განკარგულება გავეცი, რომ ყველაფერი, რაც-კი შეიძლება გამოადგეს დაზარალებულთ: ექიმები, მედიკამენტები, ხალხი, კარვები, კრაოტები და სხვ. გადმოცემულ იქმნას თქვენს განკარგულებაში. პერსონალი უკვე მზად არის წასასვლელად" და სხვ.

## სენატორი კონტი

იტალიის მისსიის თავმჯდომარემ სენატორმა კონტმა, როგორც კი გაიგო მომხდარი უბედურების ამბავი, დაუყონებლივ გასცა სასწრაფო განკარგულება, რომ მისის ხარჯზედ დაუყოვნებლივ შედგინათ სამმბულატორიო რაზმი, მომხდარი უბედურების ადგილს გასაგზავნად.

იტალიის სასანიტარო რაზმი ექიმებით და მედიკამენტებით, ექიმ ჯანგოს მეთაურობით, გაემგზავრა გორს.

**მესანგრეთა ათასეულის პოლკ. ვახვახიშვილის ცნობა გორიდან**

გორიდან მესანგრეთა ათასეულის უფროსი პოლკ. ვახვახიშვილი, შემდეგს აუწყებს სამხედრო მინისტრს:

„უკვე შეუდექით ქ. გორში და ს. ხიდისთავში 6 დიდი და 25 მცირე კარვის დადგმას. ქალაქი სრულიად განადგურებულია. არც ერთი სახლი არ არის, რომ გამოსადეგი იყოს უსახლკარო მცხოვრებთა დასაბინავებლად. ერთადერთი რადიკალური ზომა ის არის, რომ მცხოვრებნი ერთიან გაყვანილ იქმნენ გორიდან".

## ქალაქის საბჭო

**23 თებერვლის სხდომა.**

9 ს. და 35 წ. თავმჯდომარე ალ. ს. ლომთათიძე საბჭოს სხდომას გახსნილად აცხადებს.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი მოახსენებს საბჭოს, რომ გორში მიწის ძვრის ამბავის მიღებისთანავე გამგეობამ გაგზავნა გორში იმავე დღეს მცირე სანიტარული რაზმი, შეშა და 600 ფ. პურს გზავნის დღეში. გამგეობამ აირჩია კომისია, რომელიც გორში გაემგზავრა.

ამ უმალ საჭიროა საბჭომ აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა შეკრიბოს შემოწირულებანი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, ფულით ნივთებით და სხვა სახით. განზრახულია, მოეწყოს ყულაბებით ფულის მოკრება, წარმოდგენების გამართვა, უბან-უბან ნივთების მოკრება და მცხოვრებთა ყველა წრეებში ერთი დღის შემოსავლის გაღებება. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია აგრეთვე ქალაქის სალაროდან გაღებულ იქმნას 2 მილიონი მანეთი.

## შეწირულებანი:

### სახელმწიფო თეატრი

შაბათს. სახელმწიფო თეატრში რეჟისორ ალ. წუწუნავას ბენეფისი იყო. ბ-ნმა წუწუნავამ განუცხადა საზოგადოებას, რომ მთელს შემოსავალს მის ბენეფისისაგან, იგი სწირავს გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ. ბ-ნ ალ. წუწუნავას მაღალი კეთილშობილების მაგალითს, მიბაძა მთელმა თეატრმა და რამდენიმე ათეული ათასი მანეთი შეიკრიფა.

### ქიმერიონი

შაბათს, ს ღამოს ქართველ მწერალთ, კლუბ „ქიმერიონში" ლელი ჯაფარიძის და გიორგი ამირეჯიბის ინიციატივით გაიმართა დაზარალებულთათვის ფულის შეკრეფა. რამოდენიმე წუთში შეიკრიფა 68 ათასი მანეთი. ბ-ნმა ბერიძემ გაღასცა კლუბის საბჭოს წევრთ ამ მიზნისთვის 50 ათასი მანეთი. მანვე გაღასცა მთავრობას ამ მიზნით 500 000 მანეთი. მწერალთა კავშირის საბჭო შაბათს აწყობს დიდ საღამოს გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ. საღამოს დიასახლისობენ ქ ნნი ე. ორბელიანისა და ვ. ბერიძისა.

## გორისთვის დახმარების ცენტრალური ბიურო

მიწისძვრისაგან დაზარალებულთა მთავრობის საგანგებო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამფუძნებელ კრების წევრის ივ. გომართელის თავმჯდომარეობით დაარსდა რესპუბლიკის ცენტრალური ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობს გორში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლო ფულითა და ნივთიერებით შემოწირულების საქმეს მთელ რესპუბლიკაში—მისამართი: თბილისი, ანასტასიევის ქ. 21 ივ. გომართელს ტელეფონი 6 33.

რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და ერობებში შემოწირულების შესაგროვებლად უნდა დაარსდეს ადგილობრივი კომისიები რომელსაც ხელმძღვანელობს აღნიშნული ცენტრალური ბიურო.

ქ. თბილისის საბჭოს დადგენილებით, თბილისში დაარსდა ქალაქის ადგილობრივი კომისია, მისამართი: თავისუფლების მოედანი ქალაქის სახლი, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის ბინა.

## სახელ. უნივერსიტეტი

22 თებერვალს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრებამ მწუხარებით მოისმინა გორის განადგურების ამბავი. დაადგინა თანაგრძნობა გამოუცხადონ მთავრობას. დაავალა კავშირის გამგეობას გადასდონ დაზარალებულთათვის 10,000 მ., და აირჩია კომისია დაზარალებულთათვის თანხის შესაგროვებლად, რომელიც მაშინვე შეუდგა ფულის შეგროვებას. ხსენებულ კომისიას ეროვნულ დემოკრატიულ სტუდენტთა კომიტეტმა გადასცა 500 მან. ამას გარდა კომისიამ იმ დღესვე შეაგროვა სტუდენტთა შორის 3000 მან. შეწირულება გრძელდება.

## ქუთაისის დრამატიული დასის დახმარება

„საქართველო"-ს რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო ქუთაისიდან: ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა იზიარებს ქართველი ერის მწუხარებას გორის გაუბედურების გამო და იმედოვნებს, რომ ქართველი ერი ღირსეულად ამოუდგება თავის მთავრობას გვერდში გაჭირვებულთა დახმარების საქმეში, რომლის ფონდის გასაძლიერებლად გადასდო 22 თებერვლის წარმოდგენის წმინდა შემოსავალი. გამგეობის თავმჯდომარე პურადაშვილი.

**თბილისის საშუალო სასწავლებლები.**

თბილისის ზოგიერთ საშუალო სასწავლებლის მასწავლებლებმა უარი სთქვეს 60 პროც. მომატებაზე, რათა ეს ფული გადაეცეს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ.

სხვა სასწავლებლებში იმართება ხელის მოწერა ამავე მიზნით და გრძელდება შეწირულება.

**ფონდის დაარსება**

ნაფიც ვექილთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ნაფიც ვექილთა შორის გაიხსნა ხელის მოწერა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ფონდის შესადგენად.

**თბილისის მილიციის დახმარება**

თბილისის მაზრის მილიციის უფროსმა ა. ახვლედიანმა, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, შესწირა 1000 მან. ამასთანავე ბრძანება გასცა, რათა ყველა მილიციონერმა მოიხადოს თავისი ვალი მოძმეთა წინაშე და გადასდოს წვლილი დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**ახალი კომისია.**

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ აირჩია დაზარალებულთა სასარგებლოდ შეწირულების შემკრები კომისია.

---

მეორე ქართულმა კლუბმა 20,000 მანეთი გადასდო მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

სოხუმის ქალაქის საბჭომ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდო 25,000 მან.

ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდო 22 თებ. გამართული წარმოდგენის წმინდა შემოსავალი.

**მომარაგების სამინისტროს სურსათით დახმარება**

მომარაგების სამინისტრომ გორში გაგზავნა 1600 კოლოფი კონსერვი, 53 ფუთი ლობიო, 50 ფუთი ბრინჯი და 38 ფუთი დამარილებული თევზი.

**კოოპერატივთა კავშირის მიერ დახმარების აღმოჩენა**

საქართველოს კოოპერატივთა კავშირმა გაგზავნა გორში 500 ფუთი შაქარი, 1000 კოლოფი კონსერვი 5 ფუთი ჩაი.

---

თბილისის მეხუთე ქალთა გიმნაზიის (ყოფილი საეპარქიო) მასწავლებლებმა 23 თებერვლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე დაადგინეს მთელ ჯამაგირის 5 პროცენტი გაიღონ ქალ. გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

---

ავლაბრის რაიონისა და შესოფლის ყველა პოლიტიკურ კულტურულ განმანათლებელ, და პროფ. ორგანიზაციებს ევალებათ გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები 29 თებერვალს დილით კვირას 12 საათზე ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში სადაც შესდგება საგანგებო სხდომა დამხმარე კომიტეტის ასარჩევად და გეგმის შესამუშავებლად თუ როგორ გაუწიოთ მატერიალურ-ზნეობრივი დახმარება გორისა და მისი მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ.

---

ადამ ბაგრატიონ-დავითაშვილმა და კაკო მოსიაშვილმა გორის დაზარალებულთათვის ჩვენი გაზეთის რედაქციას გადმოსცეს 2000 მან. (თითომ ას-ასი თუმანი).

## თიანეთიდან:

გუშინ თიანეთიდან ტელეფონით დაგველაპარაკა ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი, რომლის სიტყვითაც იმავე დროს, რა დროსაც თბილისში იძრა მიწა, საგრძნობელი მიწისძვრა მომხდარა თიანეთშიც. მსხვერპლი არ არის. ახლო-მახლო სოფლებიდან ცნობები ჯერ არ მოსულა.

## ქალ. საბჭოს მოწოდება

**მოქალაქენო!**

„ულმობელმა ბუნების სტიქიამ ქართლი სასიკვდილოდ დაკოდა. ქართლის გული ქ. გორი და მის მიდამოებში სოფელ დაბები უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან.

ასობით და ათასობით უბინაონი, მშიერნი, ტიტველ-შიშველნი ელიან დამხმარე ხელს. დედა უნუგეშოდ დაჰყურებს შვილის გაციებულ გვამს, მამა უიმედოდ ცდილობს ცრემლით გაუნელოს შვილს ჭრილობის ტკივილები, ცოლი სასოწარკვეთილებით შესთხოვს ცას და ქვეყანას დაეხმაროს ოჯახის მარჩენალის გამობრუნებაში. ობლად დარჩენილი ბავშვები ითხოვენ დახმარებას.

გალაღებულ ქართლის მცხოვრებთა სარჩო-საბადებელი სასტიკმა სტიქიამ ნანგრევების ქვეშ მოაქცია. აღარ აქვს ქართლის რამდენიმე სოფელს, რამდენიმე ათასეულს საცხოვრებლად აუცილებელი საჭირო ბინები, სანოვაგე და ნივთები.

ტირის მოხუცი, გლოვობს ყმაწვილი, მოსთქვამს ბავშვი. ყველა ელის დახმარებას, ლმობიერის თვალებით შეჰყურებს ბედში მყოფ მოძმეს და მისგან ელის ხსნას.

მოქალაქენო, უაღრეს გაჭირვებაშია ქართლი და მისი გული—გორი. ქართლის გაჭირვება, ქართლის უბედურება—ჩვენი გაჭირვება და უბედურება არის.

დახმარებას გვთხოვენ დაქვრივებული ცოლები, დაობლებული ბავშვები, დასახიჩრებული მამები—ოჯახის მარჩენელნი და ჩვენც ამ თხოვნის არ გაგება, არ შეთვისება, არ უნდა შეგვეძლოს.

შველას ითხოვენ უდანაშაულო მსხვერპლნი სტიქიისა და ჩვენც დავეხმაროთ ამ უბედურთ, დავეხმაროთ რითაც და როგორც შეგვიძლია, უშველოთ გაჭირვებულთ, ჩვენის დახმარებით გაუადვილოთ უბედურების გადატანა, ცრემლი მოვწმინდოთ მტირალთ.

ამას ითხოვს თვითეული მოქალაქესაგან მისი ადამიანობა, მისი სინიდისი.

გატიალებულ გორს და მის მიდამო სოფლებს ესაჭიროება ყველაფერი: ტანთსაცმელი, ფეხსაცმელი, სურსათ-სანოვაგე, ფული, ოჯახის მოწყობილება, სკამები, ტახტები, ლოგინი და სხვა.

შემოწირულებათა მისაღებათ და შესაგროვებლათ თბილისის ტერიტორიაზედ თბ. ქალაქის საბჭომ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელშიც გარდა ხმოსნებისა, შედიან ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი (მუშათა, ვაჭარ-მრეწველთა, ეროვნულ საბჭოების და სხვათა), ქველმოქმედნი, საზოგადო მოღვაწენი და სხვა.

მოქმედების ერთგვარობისათვის, ძალთა დაქსაქსვის თავიდან ასაცილებლად და ნაყოფიერ მუშაობისათვის საბჭომ საჭიროთ აღიარა ყველა უკვე შემდგარ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სხვა და სხვა კომისიები და კომიტეტები მოქმედებდნენ ქალაქის კომისიასთან შეთანხმებით.

ამიტომ უკვე შემდგარი ქალაქის კომისია თხოვნით მიმართავს ყველა კომისიებს და კომიტეტებს თავიანთ მოქმედება შეუთანხმონ ქალაქის კომისიას, რისთვისაც საჭიროა არის წინასწარი მოლაპარაკება და მოქმედების ერთგვარი გეზის შემუშავება.

კომისია დღეიდგან იწყებს ყოველგვარ შემოწირულების მიღებას. ჯერჯერობით ქალაქის თვითმართველობის შენობაში—ქალაქი მოურავთან, ან ქალაქის მდივანთან და შემდეგ სხვა პუნქტებშიაც, რომლებიც ცალკე გამოცხადდებაიან".

ქალაქ თბილისის საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩხიკვიშვილი.

## სავაჭრო-სამრეწველო პალატის მოწოდება

ჩვენს ქვეყანას საშინელი უბედურება დაატყდა. სტიქიონმა მიწის ძვრამ გაანადგურა ქართლის სავაჭრო ცენტრი და გული—ქ. გორი და ათიოდე მდიდარი სოფელი. რამდენიმე ასეული მოკლული და დასახიჩრებული, რამდენიმე ათასი ავადმყოფი, რამდენიმე 10 ათასი დარჩა შიშველ-ტიტველი, უსახლკარო და უჭმელი. საჭირო არ არის აღწერა ამ უბედურებისა. საკმარისია ითქვას, რომ აქვე, ჩვენს გვერდით მრავალს ათასს ემუქრება სიკვდილი სიცივისა, სიმშილისა და ავადმყოფობის გამო.

დაზარალებულთ მოუნდებათ მეტად დიდი დახმარება. არც სახელმწიფოს, არც სხვა და სხვა ორგანიზაციებს, არც კერძო პირებს არ შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ მათ. საჭიროა მიშველება მთელი ჩვენი ქვეყნის, ხალხისა, განურჩევლად ეროვნებისა, სოციალურ მდგომარეობისა.

ვაჭრობა-მრეწველობის მთავარ ორგანოთა შეერთებულმა კრებამ, რომელიც შესდგა სავაჭრო-სამრეწველო პალატის თაოსნობით, აირჩია მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.

ჟამსა ეროვნულ გლოვისასა კომიტეტი მიმართავს ყველა ვაჭართა, მრეწველთა, ხელოსანთა და მოქალაქეთა სინდისს და გულს:

უშველეთ უბედურებს!

შეიძლება ყოველმა ზედმეტმა მანეთმა შეუნარჩუნოს სიცოცხლე გაუბედურებულებს.

შემოწირულებას მიიღებენ ქვემოხსენებული ორგანიზაციები და კომიტეტის წევრნი:

1) დ. გ. აფხაზი იტალიურ-კავკასიის ბანკი (რუსთაველის პრ.)

2) სავაჭრო-სამრეწველო პალატა—ეროვნული საბჭოს ქ. (ყოფ. ფოლიცინისა № 11).

3) მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზ ბა (პიროგოვის ქ. 6)

4) მარგანეცის მრეწველთა საბჭო (რუსთაველის პრ., სახლი აზიანცისა).

5) ნ. ე. წერეთელი ამიერ კავკასიის ბანკი (ლორის-მელიქოვის ქ.)

6) ა. ნ. მილოვი და ვ. ი. ტერ-ზახაროვი ვაჭართა ბანკი (თავისუფლების მოედანი).

7) ა. ნ. ხეილანოვი ფაბრიკა ძმ. სეილანოვებისა.

ამასთან ერთად კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ყველა კუთხის ვაჭარ-მრეწველებს დაარსონ სასწრაფოდ ადგილობრივ ასეთივე კომიტეტები და მოგროვილი თანხები გამოგზავნონ ქ. თბილისში ერთ-ერთ ზემოხსენებულ ადრესით.

მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი ვალი.

**მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ვაჭარ მრეწველთა მთავარი კომიტეტი:**

თავმჯდომარე სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტისა დ. გ. აფხაზი

შიათურის მარგანეცის მრეწვ ლთ

საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჟურული
თავმჯდომარე მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზ-სა ა. ი. ხაჩატუროვი.
ბანკთა კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. ტერ-ზახაროვი.
ხაზირჯო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. მილოვი.
ამიერ კავკასიის ბანკის საბჭოს თავმჯდომარე ნ. გ. წვერავა.

## იტალია-საქართველოს დამოკიდებულება

**სენატორ კონტი—იტალიის მთავრობის რწმუნებული საქართველოში.**

„მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

მათ უმაღლესობის, იტალიის მეფის მთავრობა, რომელიც მოსურვებულია უფრო მეტად განამტკიცოს დამოკიდებულება იტალიის და საქართველოს რესპუბლიკის შორის, ავალებს მის აღმატებულებას, სენატორ ეტმორე კონტის, დაჯილდოვებულ ჯვრით და ორდენით უმაღლეს ხარისხისას მეფის გვირგვინისა, გაემგზავროს საქართველოში და შეისწავლოს ყველა ეკონომიური საკითხები, რომლებიც აინტერესებენ ორთავე ქვეყნებს.

მის აღმატებულებას სენატორ კონტის აქვს სრული ნდობა იტალიის სამეფო მთავრობისა და ამიტომ ვთხოვ თქვენს აღმატებულებას სრულის ნდობით მოეკიდოს ყველა მის განცხადებებს, რაც იქნება იტალიის მთავრობის სახელით და აღმოუჩინოს ყოველი დახმარება მისი მისიის ნაყოფიერ შესრულებისათვის“.

იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (ხელმოწერილია) ნიტტი.
რომი 3 თებერ. 1920 წ.

## ბათომის საკითხი.

როგორც იტყობინებიან, უმაღლესი საბჭოს დადგენილების თანახმად სამოქალაქო ხელის უფლება ბათომში იქნება ქართული, ხოლო ნავთსადგური გადავა საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ „აზხ.“

**ინგლისელები ბათომში.**

ბათომიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ ინგლისის ადგილობრივმა მთავრობამ გამოსცა განცხადება, რომლის თანახმად ინგლისის მთავრობა ბათომს კიდევ 6 თვე რჩება. ბათომიდან მიმავალ ჯარის მაგიერ მოვიდა შოტლანდელების და შავკანიანების ტრანსპორტი.

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**ახალ პარტიის დაარსება**

ბაქოში დაარსდა თათრული სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია „ხალკიჩ“ (სახალხო), რომელიც თავისი სახელის გაზეთში აცხადებს თავის „კრედო“-ს, რომლის თანახმად ის მაისწრაფის აზერბაიჯანში სოციალისტური წესწყობილების განმტკიცებისაკენ. პარტია ეცდება აგრეთვე მიწის გაეროვნებას, დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებას, ფართე ადგილობრივი თვითმართველობათ, დაიცავს ქვეყანას იმპერიალისტებისაგან, ნამეტნავად დენიკინისაგან. პარტია მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს თავისი წითელი დროშის ქვეშ თავი მოიყარონ.

**ფ. ხ. ხოელი.**

ამ თვის ბოლო რიცხვებში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრ, ფ. ხ. ხოელის განზრახული გამგზავრება ევროპაში განსაზღრულ დრომდე გამოურკვეველია.

**მინისტრების გასვლა მთავრობის კაბინეთიდან.**

„იტტიხადი“-ს მთავრობიდან გასვლის გამო კაბინეთიდან გავიდნენ ამ პარტიის წევრები: სახელმწ. კონტროლის მინისტრი ე. მამედბეკი, და სახ. განათლების მინისტრი ტ. მ. შახტახტინსკი.

**აზერბაიჯანი და გენ. დენიკინი.**

ბაქოში ელიან გენ. დენიკინის დელეგაციის ჩამოსვლას, რომელიც კეთილმეზობლურ მდგომარეობის დამყარებას ხელს შეუწყობს მოხალისეთა არმიასა და აზერბაიჯანს შორის. როგორც იუწყებიან დელეგაციის მეთაურად იქნება ბაქოში ყოფილი გენერალ-გუბერნატორი ლ. ვ. პოპულოვი.

## სომხეთი

**კოალიციისათვის.**

პოლოს ნუბარი პარიზიდან დეპეშით ატყობინებს სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას, რომ მას მისაღებად მიაჩნია სომხეთში კოალიციური მთავრობის შესაქმნელად ის პირობები, რომლებიც მას გადასცეს ოჰანჯანმა და ტერ სტეფანიანმა.

**შეთანხმება ოსმალეთის სომხეთის შესახებ.**

(თეირანის სომხური დიპლომატიური მისიის ცნობა).

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მოკავშირეთა შორის უკვე მოხდა საბოლოო შეთანხმება ოსმალეთის სომხეთის შესახებ. სომხეთი დამოუკიდებელია და მისი საზღვრები ირკვევა. სმირნა ეძლევათ ბერძნებს. სულთანი რჩება კონსტანტინეპოლში, ხოლო დარდანელი და მარმარილოს ზღვა მოკავშირეთა გამგებლობაში გადადის.

**გაერთიანებული სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობა.**

რეიტერი იტყობინება, რომ ამ თვის 12-ს მოკავშირეთა შორის მოხდარა საბოლოვო შეთანხმება ოსმალეთის სომხეთის შესახებ.

სომხეთი დამოუკიდებელია, საზღვრებს არკვევენ, სმირნი ბერძნებს, სულთანი სტამბოლში, დარდანელს და მარმარილოს ზღვას იჭერენ მოკავშირეები. („აზხ“)

## რუსეთი

**ბოლშევიკი ბურჟუა.**

(„საქართველოს“ თარგმანი).

„ტაიმს“-ის ერთ-ერთ ნომერში საბჭოთა რუსეთის მომარაგების მინისტრის კრასინის შემდეგი დახასიათება გვხვდება.

„დაიბადა ბურჟუაზიულ ოჯახში. მუშაობდა სოციალისტების პარტიაში და იცნობდა ლენინს ჯერ ისევ 20 წლის წინად. 1906 წლის არეულობის შემდეგ იგი შორდება მებრძოლ ფრთას და სწავლობს ფინანსებსა და მრეწველობას. განაგებს სიმენსის და შუკერტის რუსულ განყოფილებებს. ბოლშევიზმის გამეფების შემდეგ ლენინმა მინისტრის თანამდებობა შესთავაზა, მაგრამ მან უარი განაცხადა. მას ეგონა, თუ ახალი რეჟიმი მალე დაემხობოდა. შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ ბოლშევიკები თავიანთ ბატონობას შეინარჩუნებენ, მან თავისი ბედი ბოლშევიკებს შეუკავშირა.

როდესაც მთავრობა შეუდგა მრეწველობის ნაციონალიზაციას—კრასინი მრეწველობის სათავეში ჩადგა. იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო ბოლშევიკების პრაქტიკაში მიღებულ კომუნისტურ ცდების. იგი სწერდა თავის მეგობარს, რომ მრეწველობის ნაციონალიზაცია უდიდესი სულელური აქტია, ყველა იმ საქმეებში, რომელიც კი ჩაიდინა ლენინის მთავრობამ. ამის და მიუხედავად მან მაინც მიიღო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს პორტფელი.

„ვის სწამს კიდევ დღემდის რუსეთში სოციალიზმი“? უთხრა მან ერთხელ თავის მეგობარს. „ყოველ შემთხვევაში არც მე და არც ლენინს“. როდესაც იგი მომარაგების მინისტრად იყო სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა კომიტეტების წინააღმდეგ.

იგი რკინის გზაზე მეფის დროის სისტემის შემოღების მომხრე იყო. იგი ასწავლიდა ლენინს დისციპლინას, რომლითაც იგი ხანგამოშვებით მიმართავდა რუს მუშებს. იგი ამხედრებდა კოსმოპოლიტ ფინანსისტების ყოველგვარ ოცნებას, რომელთაც ჰსურთ მნიშვნელოვან დათმობაზე დაიყოლიონ რუსეთი, იმის გამო, რომ სოციალიზმს არ შეუძლიან განვითარდეს უცხო კაპიტალის დაუხმარებლივ. მას არ სწამს რევოლუციური ქვეყანა და რომ მასზე იყოს დამოკიდებული, ბოლშევიკები ადრევე დასტოვებდნენ თავიანთ ყბადობას და მოკავშირეთ „კაპიტ ბურჟუაზიულ ზავის წინადადებას მისცემდნენ“.

გერმანელები მას იცნობენ და დაჟინებით მოითხოვენ მის გერმანიაში გამგზავრებას.

**მოკავშირეთა ვაჭრობის განახლება საბჭოთა რუსეთთან.**

ბერლინი. 22—2. მოკავშირეების მიერ საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის განახლება გამოიწვევს სავაჭრო ხელშეკრულებას, რაც თავის მხრით მოითხოვს მოსკოვის მთავრობის აღიარებას. ამიტომ ახლო-მომავალში უნდა მოველოდეთ საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკურ მოლაპარაკების შესაძლებლობას.

## ბულგარეთი

**კოალიციური კაბინეტი.**

(საქ. დეპ. სააგ.).

ბელგრადიდან იუწყებიან: რადგანაც ვენიზმა მთავრობის შედგენა ვერ შესძლო, პრინც-რეგენტმა სტოიან პროტიჩს გადასცა მანდატი შესადგენად კოალიციურ კაბინეტისა, რომელიც დროებით სკუპშჩინასთან შესძლებს მუშაობას.

## ჰუნგრეთი

(საქართ. დეპეშ. სააგენტ.)

**ჰუნგრეთის პროტექტორი.**

ბუდაპეშტიდან ვენაში გაგზავნილ დეპეშის თანახმად დამფუძნებელ კრებას ჰუნგრეთის პროტექტორად ამირჩევია ხორტი დაუნიშნავს.

## ოსმალეთი

**ანტანტის გამარჯვება.**

(„საქართველოს“ თარგმანი)

„ტაიმს“-ი სწერს: უმაღლეს კომისრებმა ოსმალეთში გაიმარჯვეს. მათ კაბინეთში გაადევნინეს სამხედრო მინისტრი, რომელიც შტაბის უფროსთან ერთად მუსტაფა ქემალის მარჯვენა ხელი იყო. დროებით ზავის დარღვევაში ბრალი მას მიუძღვის. იგივე სცდილობდა მოკავშირეთაგან გადამალული სამხედრო მასალა ფარულად გაეტანა კონსტანტინეპოლიდან ანატოლიაში.

საყურადღებოა თუ როგორ შეხვდება ნაციონალისტური ორგანიზაცია და მისი წარმომადგენლები ოსმალეთის პარლამენტში ამ დამარცხებას.

**„ტაიმს“-ი კონსტანტინეპოლის საკითხის შესახებ.**

(„საქართველოს“ თარგმანი).

„ტაიმს“-ი სწერს: ინდოეთის მაჰმადიანთა ის მოთხოვნილება, რომ კონსტანტინოპოლზე დარჩეს ოსმალეთის სუვერენიტეტი—არაჩვეულებრივი ამოცანაა.

უკვე ცნობილია, რომ მექისა და მედინის მაჰმადიანებმა გადიგდეს ოსმალეთის უღელი და რომ ბაღდადისა და დამასკის მაჰმადიანებმა მიიღეს ბრიტანეთის იარაღი, როგორც მათი ოსმალეთის ტირანიისაგან განმათავისუფლებელი. აქედან სჩანს რომ მაჰმადიანურ ქვეყნის დამოკიდებულება ამ საკითხთან ერთსულოვანი არ არის.

**ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე.**

(საქ. დეპ. სააგ.).

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ტევფიკ ფაშა ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეთ დაინიშნა.

**ოსმალეთის საკითხი.**

ის გადაწყვეტილებანი, რომელსაც ოსმალეთის საკითხის შესახებ მოკავშირეთა საბჭო დაადგა, წინასწარ არის შედგენილი და დაინტერესებულ მხარეებისთვის ჯერ არ უცნობებიათ. თუ ფრაკიის შესახებ ვენიზელოსის მოთხოვნილება დააკმაყოფილეს, მაშინ გალიპოლის მთელი ნახევარ კუნძული საბერძნეთს დარჩება. კონფერენციის წრეებში ფიქრობენ, რომ მოკავშირეთა თათბირმა ლონდონში, შეიძლება კიდევ ორ კვირას გასტანოს.

## ინგლისი

**ინგლისი და პოლონეთი.**

(საქ. დეპ. ს.)

ლონდონი თებერვ. 22. ლლოიდ ჯორჯმა ქვემო პალატაში განაცხადა: ბრიტანეთის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას აუწყა, რომ საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე პოლონელთა დაცემას ინგლისი მხარს არ დაუჭერს. ყოველივე იმის მაჩვენებელია, რომ საფრანგეთიც შესცვლის თავის პოლიტიკას, რომელიც ბოლშევიკებთან დამოკიდებულების წინააღმდეგი იყო. საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ ლლოიდ ჯორჯის სურს დაეხმარონ პოლონეთს და თუდენიჩს ბოლშევიკების საწინააღმდეგო ბრძოლაში. ეს უარი მაჩვენებელია იმის, რომ ლონდონის კონფერენციაზე ინგლისელები შეეცდებიან შეთანხმებას ძიაღწიონ რუსეთთან ვაჭრობის აღდგენის საკითხში.

**ლლოიდ ჯორჯი კონფერენციის შესახებ.**

მომავალ კვირაში ლონდონში უნგრეთის დელეგაციის მისვლას ელიან. კონფერენციას იმდენი საქმე აქვს გასაკეთებელი, რომ ამ ერთ თვეში შეიძლება ვერც მოასწრონ მისი გაკეთება ლოიდ ჯორჯი ფიქრობს, რომ კონფერენციას მოუხდება ლონდონში ჯდომა მარტის განმავლობაშიც.

**კონფერენციის მეორე სხდომა.**

მოკავშირეთა კონფერენციის მეორე სხდომა მოხდა პარასკევს დილისით. დაესწრნენ ლოიდ ჯორჯი, ლორდ კერზონი, პოლ კამბონი, ბერტელო და ნიტი. იმათ განიხილეს დღიურ წესრიგში მყოფი საკითხები. პრესისთვის არაფერი არ უცნობებიათ. „პტი პარიზიენის“ კორესპონდენტს გაუგია, რომ ლაპარაკი ყოფილა ვილსონის ნოტაზე.

## გერმანია

**ვილჰელმის რეზიდენცია**

ვილჰელმ მეორის მომავალ რეზიდენციის შესახებ გაზეთები სწერენ: ნიდერლანდია ალბათ შეეცდება ანტანტის წინადადებას და ექს-კაიზერს მისცემს შორეულ თავშესაფარს, საიდანაც იგი ევროპის მშვიდობიანობას ვეღარაფერს დააკლებსო. ჰოლანდია, ალბანეთ, ანტილის ერთერთ კუნძულს, მაგალითად კირასაოს ამოირჩევსო.

## ამერიკა

(საქ. დეპ. სააგ.)

**ვილსონის პასუხი ადრიატიკის საკითხზე**

პრეზიდენტმა ვილსონმა საბოლოოდ შეიმუშავა თავისი პასუხი ადრიატიკის საკითხის შესახებ და იგი ლონდონში გააგზავნა.

## ლიტვა

(საქ. დეპ. სააგ.)

**ლიტვა და საბჭოთა რუსეთი**

გელსინგფორსი 19/2. რეველიდან იუწყებიან: ლიტვის პრემიერ მინისტრმა პალტოვსკიმ „მანჩესტერ გარდიან“-ის თანამშრომელს აუწყა, რომ ლიტვა მზად არის ზავი შეკრას რუსეთთან.

## პოლონეთი

(ს. დ. ს.)

**ზავი საბჭოთა რუსეთთან**

ლონდონი 21/2. კრაკოვში, ლვოვში, პერემიშლში და პოლონეთის სხვა ქალაქებში მასსიური მიტინგები შესდგა გამოქონდათ რეზოლიუციები, რომლითაც მოითხოვენ საბჭ. რუსეთთან ზავის შეკვრას. სოციალისტური გაზ. მოითხოვენ საბჭ. რუსეთთან ზავის შეკვრას და ეყრდნობიან პოლონეთის შინაური მდგომარეობის სიმძიმეს.

ბერლინი 22/2. რუმინეთის პრემიერი ლონდონში მიიწვიეს, რათა მან გააცნოს მათ რუმინეთის მთავრობის თვალსაზრისი საბჭ. რუსეთთან ვაჭრობის აღდგენის საკითხის შესახებ. ფიქრობენ, რომ რუმინეთ სურს საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის დამოკიდებულების აღდგენა.

# ახალი ამბები

## სამინისტროებში

**ესპანეთის ვიცე კონსულის წერილი.**

საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი წერილი მიიღო ესპანეთის თბილისში მყოფ ვიცე კონსულისგან:

„მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ესპანეთის კომერციულ დელეგაციამ სტამბოლში დაბრუნებისას დამავალა თქვენს აღმატებულებას და საქართველოს ყველა სამინისტროებს გადავცე დელეგაციის სახელით გულწრფელი მადლობა ყველა იმ აუდიენციებისთვის, რომლის ღირსიც იგი გახადეს აქ და იმ ყურადღებისთვის, რომელიც ხსენებულ დელეგაციისადმი გამოიჩინეს მისი საქართველოში ყოფნისას.

„დელეგაცია აპირებს უკან დაბრუნდეს სამი თვის შემდეგ, როგორც კი თავის მთავრობას მადრიდში მოხსენებას წარუდგენს საქართველოს მდგომარეობის შესახებ.

ნებას ვაძლევ ჩემ თავს დელეგაციის მადლობას ჩემი ასეთივე გრძნობა შეუერთო და მაქვს პატივი გთხოვოთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

ვიცე საკონსულოს გამგე არამ ფსრსუდიანი.

**სენატორ კონტის მადლობა.**

საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი წერილი მოუვიდა სენატორ კონტისგან: „მისია, რომლის თავმჯდომარეთაც მაქვს პატივი მე ვიმყოფებოდე, მხურვალე მადლობას სწირავს საქართველოს მთავრობას, მისიისთვის ფოთიდან თბილისამდე საგანგებო მატარებლის მიცემის გამო. მატარებელი იმდენად კარგად იყო მოწყობილი, რომ მას შესძლო მხოლოდ კმაყოფილების გრძნობა გამოეწვია, როგორც პირადად ჩემში, ისე მისიის სხვა წევრებში. საქართველოს მთავრობის და მისი მოსამსახურეთა მზრუნველობა და განსაკუთრებული თავაზიანობა იმის მაჩვენებელია, თუ როგორ აღფრთოვანებულ სიმპატიას და სტუმართ მოყვარეობას იჩენს ჩვენდამი თქვენი მთავრობა და ქართველი ხალხი. მიიღეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი მადლობა და ღრმა პატივისცემის გრძნობა“.

იტალიის სამოქალაქო მისიის მეთაური ამიერ-კავკასიაში კონტი.

**იუსტიციის სამინისტროში**

თბილისის სასამართლოს პალატის პროკურორმა ცირკულიარით მიმართა ყველა პროკურორებს, რომ, რადგანაც ტუსაღების თხოვნები, მიმართული მთავრობის თავმჯდომარის, ან იუსტიციის მინისტრის, ან სენატის სახელობაზე იგზავნება პროკურორების მიერ ხშირად ყოველივე ცნობების დაურთავლად და ამის გამო მეტის-მეტად ფერხდება მათი კანონიერი მსვლელობა, ამიტომ ამიერიდან ყოველ ასეთ შემთხვევაში პროკურორებმა თან დაურთონ ტუსაღების თხოვნებს ყველა ცნობები, რომელიც მოიპოვება მთხოვნელის შესახებ პროკურორის ან ციხის კანცელარიაში.

## სხვა და სხვა ამბები

**თბილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების შეწყვეტა.**

ქალაქის საბჭოს 23 თებერვლის სხდომაზე გადაწყდა გაუქმდეს თბილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების სავალდებულო დადგენილებანი. ადგილის სიმცირის გამო ხსენებულ საბჭოს სხდომის ანგარიში ჩვენი გაზეთის შემდეგ №-ში იქნება მოთავსებული.

## თეატრი

**დ ღ ე ს:**

სახელმწიფო თეატრი „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

არტისტიული თეატრი ურიელ აკოსტა.

## ქ. ქუთაისი

— ადმინისტრაციის ინსპექტორმა მამფორიამ ამ დღეებში მოახდინა უეცარი რევიზია ქუთაისის რაიონის კომისარის კანცელარიისა. შედეგი რევიზიისა წარედგინა რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორს და აგრეთვე ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას.

— რაჭის მაზრის კომისარი დეპეშით ატყობინებს ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს, რომ ონის სატუსაღოში მყოფმა ტუსაღებმა გამოაცხადეს შიმშილობა. თხოულობენ ისინი ულუფის გადიდებას. შესაფერი ზომები მიღებულია.

## ქ. დუშეთი

— ადგილობრივმა გვარდიამ შეიპყრა ანანურისა და გორაზე თავდასხმის ერთი მონაწილეთაგანი ყაჩაღი დარჩო ჩილოშვილი, რომელსაც ტანზე ეცვა ანანურის ფოსტის უფროსისათვის ამაზე თავდასხმის დროს წართმეული ტანისამოსი.

## თბილისის ქალაქის გამგეობისაგან

**ყველა სამხედრო ვალდებულთათვის საყურადღებოდ.**

ყოველი სამხედრო ვალდებული უნდა აღრიცხული იქნას ქ. თბილისის საკომისარიატოებში. შენიშნულია, რომ ბევრნი აქამდე არსად არ არიან აღრიცხულნი ვალდებულთა აღრიცხვის საქმის მოსაწესრიგებლად, ყველა სამხედრო ვალდებულნი, რომელნიც დროებით ან მუდმივ თბილისში ცხოვრობენ და დაბადებულან 1875 წლიდან დაწყებული 1899 წლამდე, მაგალითად:

1) სათადარიგო ჯარის კაცები,
2) მილიციის მოლაშქრენი (ლურჯ-ბილეთიანები),
3) თეთრ ბილეთიანნი,
4) ავათმყოფობის გამო დათხოვნილნი სხვა და სხვა ვადით,
5) სრულიად დათხოვნილნი სამსახურიდან ოჯახური გარემოებით, როგორც ერთად ერთი მარჩენალნი ოჯახისა.
6) სრულიად დათხოვნილნი სამსახურიდან ავათმყოფობის გამო,
7) სამსახურიდან განთავისუფლებულნი, როგორც უცხო ქვეშევრდომნი, შეტანილნი გასაწვევ სიებში,
8) დროებით განთავისუფლებულნი ჯარში გაწვევისაგან, როგორც რუსნი-მოქალაქენი,
9) დროებით განთავისუფლებულნი, როგორც მოსწავლენი საშუალო სასწავლებელში,
10) დროებით განთავისუფლებულნი, როგორც სამართალში მიცემულნი,
11) დროებით განთავისუფლებულნი ავათმყოფობით.

— უნდა გამოცხადდნენ იმ კომისარიატებში, სადაც სცხოვრობენ, სიებში აღსარიცხავად—და უნდა წარადგინონ ერთ-ერთი ქვემო ნაჩვენები საბუთები:

ა) მეტრიკული მოწმობა,
ბ) პასპორტი,
გ) მოწმობა გასაწვევ უბანში მიწერაზე,
დ) ნამსახურებითი ფურცელი,
ე) ნამსახურებითი სია,
ვ) სამსახურიდან დათხოვნის ბილეთები,
ზ) მოწმობები ლაშქარში ჩარიცხვაზე ან როგორც თეთრ ბილეთებიანებისათვის,
თ) მოწმობა სამსახურიდან სრულიად დათხოვნილთ ავადმყოფობით, ან დროებით დათხოვნილთ ავათმყოფობით რამდენიმე თვით,
ი) კონსულის მოწმობა ქვეშევრდომობაზე ან სამხედრო აღრიცხვის ნაწილის მოწმობები სამსახურიდან დროებით განთავისუფლებაზე, როგორც რუს-მოქალაქეთ,
კ) სასამართლოს მოწმობა სამართალში მიცემაზე,

გამოცხადება ევალებათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც ჯერ აღრიცხვა არ მიუღიათ, განურჩევლად იმისა, აქვთ თუ არა რაიმე საბუთი სამხედრო სამსახურის შესახებ.

დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა და არა უგვიანეს მდგომარე თებერვლის 28-სა უნდა გამოცხადდნენ თავიანთ კომისარიატებში დილის 10 საათიდან.

**თბ. ქალაქის გამგეობა.**

## საამ.-სამრეწ. პალატა

**სავაჭრო ბიულეტენი.**

ქ. თბილისი, 24 თებერვალი 1920 წ.

**კ უ რ ს ი**

| | |
|---|---|
| სტერლინგი: | |
| ა) ბანკნოტი | 1075 მ. |
| ბ) ჩეკი | 900 „ |
| ფრანკი ფრანგული ქაღ. | 29 „ |
| ჩეკი | 20-75 „ |
| ლირა იტალიური ქაღ. | 18-75 „ |
| ჩეკი | 17 50 „ |
| ლირა ოსმალური: | |
| ა) ოქროს | 1470 „ |
| ბ) ქაღალდის | 255 „ |
| ჩეკი | 243 „ |
| მარკა გერმანული | 8-50 „ |
| მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა: | |
| ა) ასი მანეთიანი | 260 „ |
| ბ) ხუთასი მანეთიანი | 1300 „ |
| ათ მანეთიანი ოქრო | 1730 „ |
| ფასიანი ქაღალდები: | |
| თბილ. სადგ.-მამულო ბანკ. გირავნ. ფურცლ. | 190 „ |
| ქუთაისისა | 83 „ |
| თბილ. საკრედ. საზოგ. ობლიგაცია | 102 „ |
| აქც. კავკ. ბანკისა | 1000 „ |
| აქც. ამიერ კავკ. ბანკისა | 360 „ |
| ვაჭართა ბანკ. | 350 „ |
| ქარ. საურ. საზ. აქც. | — „ |
| რენტა | 215 „ |

## „ნაციონალისტის“ ნომერში მიწადმოქმედების სამინისტროში

**„განკარგულებანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწად-მოქმედების მინისტრისა**

(იხ. მთავრობის ოფიციოზი „საქართველოს რესპუბლიკა“ № 43).

31 იანვარი, 1920 წ., № 16.

**ინიშნება:** მიწათ მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოში მხაზველად ვასილ ალექსის ძე კურბატოვი ამა წლის 10 იანვრიდან.

31 იანვარი, 1920 წ., № 17.

**ინიშნება:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს უფროსს ტეხნიკად იაკობ არონის ძე ფილკოვიჩი ამა წლის 10 იანვრიდან.

31 იანვარი, 1920 წ., № 18.

**ინიშნება:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოში გაბრიელ კონსტანტინეს ძე სოხიევი და გაბრიელ სამსონისძე კუზნსოვი საუბნო ტეხნიკებად ამა წლის 31 იანვრიდან.

31 იანვარი, 1920 წ. № 19.

**ინიშნებიან:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოში ილია კონსტანტინეს ძე ზაიცევი, სევერიან ლუკას ძე გორიგო და არონ ლაზარესძე ჩიხუსი საუბნო ტეხნიკებად ამა წლის 20 იანვრიდან.

31 იანვარი, 1920 წ., № 21.

**ინიშნება:** მიწათმოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოში ყარაიაზის ეროვნულ მამულების მოსარწყავ სისტემის კაპიტალური რემონტის მუშაობის მწარმოებლად ანდრია ივანესძე კალიტა, ამა წლის 26 იანვრიდან.

31 იანვარი, 1920 წ. № 22.

**ინიშნება:** მიწათმოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს საუბნო ტეხნიკად ვეჩისლავ ვლადისლავის ძე კალუსოვსკი ამა წლის 26 იანვრიდან.

31 იანვარი, 1920 წ. № 23.

**ინიშნება:** მიწათ მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს საუბნო ტეხნიკად ვიქტორ ნიკოლოზის ძე შაპელოვი ამა წლის 10 იანვრიდან.

5 თებერვალი, 1920 წ. № 28.

**ინიშნებიან:** სამინისტროს სიმაჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეებათ ალექსი როჯკოვი, ივანე კორეი და ძე ამა წლის 15 იანვრიდან.

9 თებერვალი, 1920 წ. № 34.

**ინიშნება:** დიმიტრი სუხინი სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომლის

თანაშემწის თანამდებობაზე ა. წ. 1 თებერვლიდან.

11 თებერვალი, 1920 წ. № 43.

**ინიშნება:** ბარონ ზენეციანის ძე აბადოვსკი შინა მრეწველობის განყოფილების ბუხჰალტერის თანამდებობაზე ამა წლის 7 თებერვლიდან.

11 თებერვალი, 1920 წ. № 45.

**ინიშნება:** სამინისტროს ხაზინო განყოფილებაში მიწის მზომლათ ავტიკ ნიკიტის ძე ისრაელიანცი ა. წ. 4 თებერვლიდან.

11 თებერვალი 1920 წ. № 39.

**დანიშნულია:** იმავე განყოფილების მემანქანედ ქეთევან ფეოდოროვი ამა წლის იანვრის 27-დან.

## ფულის კურსის საკითხი და პურის პოლიტიკა

(„საქართველოს“ თარგმანი Sfambonl-იდან)

გაზეთები გვაუწყებენ, რომ პარიზს ლიუქსემბურგის სასახლეში მაისის 4—5 შეიკრიბება პარლამენტარული ინტერნაციონალური კონფერენცია მას მოჰყვება მოკავშირეთა ფინანსიური კონფერენცია. განიხილავენ ეკონომიურ მდგომარეობის აღდგენის საშუალებებს და ფულის კურსის განსაზღვრულ სიმტკიცის დამყარების საკითხს.

კურსის საკითხი პირველ რიგში უნდა დაისვას. იგი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია საფრანგეთისთვისაც. ფრანკის დაცემას ხნიან ომის დროს გამოწვეულ ზიანით, ქარხნების მალაროების დანგრევით, და მინდვრების აოხრებით. ფრანკის დაცემას მიაწერენ აგრეთვე წარმოების შემცირებას საფრანგეთში. მართლაც ამ გარემოებამ მეტად შეამცირა საფრანგეთის ექსპორტი, მაგრამ ყოველივე ეს არ კმარა საფრანგეთის ეხლანდელ კურსის მდგომარეობის ასახსნელად.

რასაკვირველია ეჭვი არვის შეუვა, იმ საფრანგეთს კრედიტის უნარი შესწევს, საფრანგეთის ნიადაგი ნოყიერია და შუა გული მდიდარი. საფრანგეთი ამ ჟამად წინ სდგას თვის მეცნიერების და ინჟენრების გამოგონებით მის ფინანსისტების უნარიანობით და მცხოვრებთა მეურნეობით, რომლის „წინდა“ ხალხურ ანდაზასა არ იყოს, შიოს მარნსა ჰგავს.

მაგრამ ყოველივე ეს კიდევ არ ეკუთვნის ფულის კურსის დაცემის საკითხს.

ლონდონის ფინანსიურსა და კომერციულ წრეებში ფიქრობენ, რომ ფრანკის და აგრეთვე სტერლინგების გირვანქის ფასის დაცემა არის დროებითი. იგი გამოწვეულია უცხოელ მაკლერების მიერ ბირჟაზე წარმოებულ ოპერაციებით. ევროპასა და ამერიკაში ბევრია მოსურნე, რომ ფინანსიურად სამაგიერო გადაუხადონ საფრანგეთსა და ინგლისს.

რაც უნდა იყოს, საჭიროა წამლის გამოძებნა, და სწორედ ამ წამლის გამოძებნას შეუდგება მოკავშირეთა ფინანსიური კონფერენცია. მაგრამ კურსის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია აგრეთვე პურის საკითხის გადაწყვეტაზე.

„ტან“-ი სწერს: ნორმალ ეკონომიურ მდგომარეობის აღსადგენად აუცილებელია „პურის პოლიტიკის“ წარმართვა. ცხადია, რომ პირველ საჭიროებით საგნების ფასთან შედარებული პურის ფასი ჰქმნის მთელ ეკონომიურ მდგომარეობას. პურის აწევას ჯამაგირების გადიდებას, საგნების ფასების გაღიდებას, დაუსრულებელი ფასების აწევას მოსდევს ახალი ეკონომიური სიძნელენი, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების ახალი რყევა და აღარ სჩანს გამოსავალი ამ ჯადოსნურ წრიდან.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ, რომ როგორმე ჩვენთვის პური ვიშოვოთ. ცენტრალ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს არ შეუძლიანთ რომ პური თავიანთ სახელმწიფოებში საკმაო მოიყვანონ. საჭიროა შემოზიდვას მივმართოთ.

უწინ ბეღლად რუსეთი იყო.

რუსეთში იმაზე მეტი პური მოდიოდიოდა, რამდენიც ყველა იმ ქვეყნებში რომელთაც სხვაგანაც გაჰქონდათ პური, უწინ რუსეთიდან წელიწადში 660 მილიონი ფუთი გადიოდა. ეხლა კი ყოველივე ამის მოსპობამ მსოფლიო ეკონომიური სწორწონაბა შეარყია. და ის ეკონომიური კრიზისი, რომლის წინააღმდეგ რუსეთი უდიდესი ფაქტორია—დღიურ წესრიგში აყენებს საკითხს, თუ რა გზით გაუწოდოთ დამხმარე ხელი რუსეთს? თუ როგორ დავეხმაროთ რომ იგი შეიქმნეს კვლავ უძლიერესი ექსპორტერი, რომელსაც შეეძლება ევროპის მომარაგება პურით, შაქრით და ნავთით და მათ მთავარ საგნებით?

გერმანელები თავიანთ გეგმას გვთავაზობენ. მათ აქვთ გეგმები. მათი მრეწველები, ფინანსისტები და დიპლომატები პარიზსა და ლონდონს დაუღალავ აგიტაციას ეწევიან, რომ მათი გეგმები მიიღოთ.

გერმანელებს სურთ მოსპონ ბოლშევიზმი ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის შეერთებულ სამხედრო ძალებით.

ალბად მოხდება შეთანხმება რუსეთის მთავრობასთან, რომლითაც მას მიეცემა კრედიტი 25 წლის ვადით, და იმ პირობით რომ კრედიტი უზრუნველ ყოფილ იქმნეს მის სიმდიდრით. ეს გეგმა შემაცდენელი გეგმაა, მაგრამ მას მიზნად აქვს გერმანეთის რუსეთის ხარჯზე, აღდგენის სურვილი. გერმანეთის ინგლის-საფრანგეთთან მომხდარმა სამხედრო შეთანხმებამ შეიძლება მართლაც აღადგინოს რუსეთი მაგრამ იგივე შექმნის ახალ საშიშროებას მთელ ქვეყნისთვის. გერმანეთის რუსეთის საქმეში ჩარევას მოჰყვება მათი რუსეთის საქმეში შერა, და ისიც გაურკვეველია გაანთავისუფლებენ თუ არა რუსეთს ბოლშევიზმისგან, მით უმეტეს რომ თვით ბოლშევიზმი დიდი ხანია, რაც ბერლინელებს ეყრდნობა.

უნდა უარვყოთ გერმანელების გეგმები, მაგრამ ასე თუ ისე უნდა მოვსპოთ ბოლშევიზმი, რომელიც საშიშივე ჰკლავს რუსეთის ეკონომიურ აღორძინების შესაძლებლობას.

მაშ როგორ მოვიქცეთ? სამწუხარო პრობლემაა და ვაი რომ ძნელია გადარწყვეტაც.

## ქართველ მოქალაქეებს

ბუნების რისხვამ არ შეგვიბრალა და 20 თებერვალს ორჯერ-გამეორებით მთლად გაანადგურა ქართლის გული—ქ. გორი და მისი მიდამონი შეუძლებელია, ადამიანს, თუნდაც ქვაც რომ ედოს გულის მაგივრად დაინახოს ეს უსაშინელესი სურათი: ნანგრევებ ქვეშ ასობით მოყოლილი გვამები და გული არ აუჩუყდეს, წარმოიდგინეთ თქვენ ის ამაყი ქართლელი, ჰირში შეუხრელი, და სამშობლოს მედგარი დარაჯი დღეს ჩვენს წინაშე თვალ-ცრემლიანი, დგას სრულიად უმწეო, მშიერ-შიშველი შველას გვთხოვს. იმათ იციან გაჭირვებაში ნაცადი მოძმეთა გული და იმედით აღვსილნი გვემუდარებიან შველას და ჩვენც საყვარელო თანამემამულენო, აღვივსოთ ტანჯულ მოძმეთა სიყვარულით, გავითვალისწინოთ მათი უსაშინელესი მდგომარეობა, მივილოთ მათი უბედურება საკუთარ ჩვენ უბედურებათ და დავსდოთ ფიცი მათსა და საყვარელ სამშობლოს წინაშე, რომ ყაირათს გავხწევთ, მივანებებთ თავს ქეიფს, ფუფუნებას და ამ ნაირ მომჭირნაობით შეგროვილ თანხას გაუგზავნით მათ, რომ მოკლე ხანში ავადგენთ ისტორიულად უძლეველი ჩვენი მხარე—მათ კერას, ვინაიდან ეს მხარე ისტორიული ერთი უდიდესი საფარია და კიდელი მტრების შემოსევის დროს ძვენი სამშობლოს და აი, მე ამ მიზნით შემომაქვს ჩემი წვლილი—300 მანეთი და იმედია თქვენც თანამემამულენო გაიმეტებთ თქვენსას.

ქ. მარტვილელი.

## მევენახეობისა და მეღვინეობის საბჭოში

სამშაბათს, თებერვლის 17-ს, მევენახეთა და მეღვინეობის ყრილობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა ივ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით.

საბჭომ საჭიროდ სცნო, დაარსოს თბ. უნივერსიტეტის ლაბორატორიასთან საკუთარი ლაბორატორია, სადაც უნდა ხდებოდეს ღვინის ანალიზი. აქვე შეისწავლიან მსურველი ღვინის დაყენებას ევროპიულის წესით, საბჭომ აადგინა, ლაბორატორიის გამგედ მოიწვიოს ქიმ. შალამბერიძე.

ამავე სხდომაზე საბჭომ მოისმინა ქიმ. ავალიშვილის მოხსენება შუშხენებისა და ვაზის ნაცრის შესახებ. საბჭომ დაადგინა, რამდენიმე ადგილას საცდელად მოაწყოს ნაცრის წამლობა ახალის წესით.

ამის შემდეგ საბჭომ საგანგებო კომისია აირჩია, რომელმაც პროფ. პ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით და ვ. რცხილაძის უახლოეს მონაწილეობით ღვინის კანონი უნდა შეიმუშაოს და საბჭოს წარმოუდგინოს განსახილველად. კომისიაში ამათ გარდა შემდეგი პირნიც არიან: ა. ა. ეგოროვი, პ. ი. გვერწითელი და ს. მ. ჩოლოყაშვილი.

აზრთა გაზიარების შემდეგ საბჭომ ერთხმად დაადგინა, ეთხოვოს მთავრობას, რომ სააქციზო გადასახადის განაწილების დროს საბჭოს ინტერესებიც იქნეს მხედველობაში მიღებული. საბჭო იმედოვნებს, რომ ამ გადასახადიდან მთავრობა რამდენიმე პროცენტს დაუთმობს მას.

დასასრულ საბჭომ დაადგინა, დაევალოს ს. ჩოლოყაშვილს, რომ საბჭოს უახლოეს კრებას წერილობით მოახსენოს, რა მდგომარეობაშია ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობა ფილოქსერის მხრით და დაასახელოს ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი.

# სასოფლო მეურნეობა

## ჩვენი ღვინოები და მისი ბაზარი

(მოხსენება წაკითხული მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესზე).

ჩემი მოხსენების საგანს არ შეადგენს ჩვენი ღვინის ქიმიურ შემადგენლობის ან მის დეტალურ თვისებებზე შეჩერება. მე შევეცდები გამოვარკვიო მისი ეკონომიური მნიშვნელობა ჩვენს მეურნეობაში, მისი შეფასება საერთაშორისო ბაზრის ფარგლებში და მისი, როგორც საექსპორტო ნაწარმოების, ღირებულება.

ღვინის ტიპის სხვადასხვაობის მხრივ საქართველო არ არის მდიდარი. სულ ექვსი ან შვიდი დამახასიათებელი ტიპის ღვინო დგება ჩვენში. მათ შორის ღირსებითაც და რაოდენობითაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კახურ ღვინოს და თუ ღვინოზედ ვლაპარაკობთ, როგორც საექსპორტო საგანზედ, უნდა ვიგულისხმოთ კახური ღვინო. საქართველოს ყოველ წლიური საშუალო მოსავალი მეტად ცვალებადია უფრო ცვალებადი ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში იგი იშვიათად აღემატება 6—7 მილიონ ვედროს. აქედან კახეთის წილად 3—4 მილიონი ვედრო გამოდის ყოველ-წლიურად ბაზარზედ, საშუალო მოსავლის დროს. ჩვენი ვენახების მოსავალი მეტად მცირეა და საშუალოდ იშვიათად აღემატება დესეტინაზე 200 ვედროს, ხოლო ისეთ უმოსავლო წელიწადში კი როგორც მაგ. წელს იყო საშუალოდ 100 ვედროს ძლივს მივიღებდით. (სახელმწიფო მამულმა მიიღო 300 დესეტინაზე — 25,000 ვედრო, ანუ დაახლოვებით 83 ვედრო დესეტინაზედ). მაშინ, როდესაც განჯის რაიონში 700—800 ვედროს ანგარიშობს საშუალოდ ხოლო ალჟირი და სამხრეთ-საფრანგეთი — 2000. რომ საქართველო საზოგადოდ ეკონომიურად მოღონიერებული იყოს და მყიდველობითი შესაძლებლობა მისი Покупательная способность) დაკმაყოფილებელი იყვეს, პირდაპირ გაუგებარი იქნებოდა ჩვენი ღვინის გარეშე ბაზარზედ გატანის ფიქრიც კი. რომ ეს მოსაზრება ნათელი გავხადოთ საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე საყურადღებო ცნობა. საქართველოში სამ მილიონ-ნახევარ მცხოვრებზედ გვაქვს 65,000 დესეტინა ვენახი, რომელიც იძლევა არა-უმეტეს 7 მილიონ ვედრო ღვინისა ანუ მცხოვრებზედ 2 ვედროს წელიწადში, ესე იგი 32 ბოთლს ისიც კარგს მოსავალიან წელს ამავე დროს საფრანგეთში, რომლის ერთ ნახ. მილიონმა დესეტინა ვენახმა მისცა 1912 წელს 59,384000 ჰექტოლიტრი ანუ 494,868092 ვედრო 40 მილიონ მცხოვრებლებზედ ე. ი., დაახლოვებით მცხოვრებზედ 12,5 ვედრო ღვინო მოდის რაც დაიჭერს ექვს 1-2 ჯერ მეტს, ვიდრე საქართველოს მცხოვრებს მოსდის.

იქნებ ვინმემ იფიქროს რომ საფრანგეთმა სხვაგან გაყიდა სადმე თავისი მოსავალი! ეს ასე არ არის: საფრანგეთის ღვინის იმპორტი მუდამ აღემატება ექსპორტს. კერძოდ ამ 1912 წელს კი საფრანგეთმა უცხოეთიდან შეიტანა ღვინო 9.243.000 ჰექტოლიტრი (77.025.000 ვედროს უდრის) გაიტანა კი უცხოეთში მხოლოდ 2. 060. 000 ჰექტოლიტრი (17.165 000 ვედრო) შეტანილი ღვინო 60 მილიონ ვედრით აღემატება გატანილს, ამ რიგათ თითო ფრანგ მოქალაქეს შეჰხვდა 1912 წელს თითქმის 14 ვედრო ღვინო და საფრანგეთის ეს წელიწადი ჩვეულებრივია მოსავლის მხრივ. ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს რომ ჩვენ გარედ ბაზარზედ გასატანი ღვინო სულაც არა გვაქვს და თუ მაინც იძულებულნი ვიყავით გარეშე ბაზარი გვეძებნა ამის მიზეზები მრავალია და შევეცდები მათ განმარტებას.

უმთავრესი მიზეზი ჩვენი ღვინის გარედ გატანისა არის საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის სიღარიბე. საქართველოში, მიუხედავად იმისა რომ ქართველებს უმეტესად სრულიად უსაფუძვლოდ ზოგნი ლოთებად გვთვლიან ღვინოს მარტო მცირე, პრივილეგიური ნაწილი, უმთავრესად ქალაქის მცხოვრები თუ სვამენ რეგულიარულად. სოფლის მცხოვრებნი კი, და წარმოიდგინეთ თვითონ ის მცხოვრებნი, რომელთაც ღვინო მოჰყავთ, ძალიან ცოტა და იშვიათად სვამენ ღვინოს. პატარა მევენახე მოიყვანს ცოტაოდენ მოსავალს, მიჰყიდის ხოლმე გაჭირვებული ერთ ბაზით რომელიმე ჩარჩს და თვითონ რჩება თითქმის მთელი წლით უღვინოთ. უკეთეს შემთხვევაში იგი შეინახავს რამდენიმე ვედროს ერთ ქოცოში რომელიმე დღეობის ან რაიმე მოულოდნელ შემთხვევისთვის ერთი-ორჯერ-სამჯერ იქნება მოასწროს დალევა ამ ღვინისა და დანარჩენ დროს კი სადღე დღიურად მუშაობის დროს თუ დალევს ღვინოს, თორემ თვითონ სულ არა აქვს. ძალიან ხშირად ვენახის პატრონი, როდესაც მას ზაფხულში სტუმარი მიუვა,—დუქანში მიდის ღვინის თვის ხელადით; მით უმეტეს, ღვინის სმის საშუალებას მოკლებულია ხელმოკლე მხვნელ მთესველი, რომელიც ძალიან იშვიათად თუ დალევს ღვინოს. ამ რიგად, საერთო ეკონომიური ხელმოკლეობის გამო, საქართველოს სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის ღვინო წარმოადგენდა ერთგვარ იშვიათ ხილს. სულ სხვა მდგომარეობაშია ფრანგი, რომლის ბიუჯეტში ღვინოს ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც მაგ. პურს ან სხვა რომელიმე პირველ მოთხოვნილების საგანს, და იგი ღვინოს სვამს გამუდმებით, ათჯერ-ოცჯერ მეტს ვიდრე ჩვენი მევენახე თუმცა მას მთვრალს ვერავინ ნახავთ ამ აზრის დამამტკიცებელია ის გარემოებაც, რომ ამ უკანასკნელ წლებში, როდესაც ჩვენ ღვინოს გარეშე ბაზარი მთლად დაეხშო და თითქოს უნდა უდიდესი კრიზისი შექმნილიყო ღვინისა, (მიუხედავად იმისა რომ განჯის ღვინოებიც რომელთაც უწინ უმთავრესად ჩრდილო-კავკასიისკენ ჰქონდათ გზა და ამ უკანასკნელ სამ წელიწადს კი განსაკუთრებით საქართველოს მოაწყდნენ რადგან ერთადერთი ღია კარი აქეთ ჰქონდათ) მაშინ არამც თუ კრიზისი არ შექმნილა, პირიქით მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც კი გაძნელდა მიუხედავად დიდი ფასების. წინეთ თუ ღვინოს მარტო ქალაქი სვამდა, ეხლა პირიქით უმთავრესი მომხმარებელი სოფელია. სხვა დროს თითო-ოროლა ბოთლობით თუ გაიგზავნებოდა თბილისიდან ღვინო, მაგალითად გორის მაზრაში ან დასავლეთ საქართველოში. ამ უკანასკნელ ორ წელს კი ათეული ვაგონები იგზავნებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (მცხეთიდან მოხევეებში, გორში, ქარელში და დასავლეთ საქართველოს პროვინციაში). ეს იქიდან წარმოსდგა, რომ ჩვენი სოფლის მყიდველობითმა შეძლებამ აიწია და სოფლად დაგროვილი ფული, სხვაში რომ არაფერში იხარჯება, ღვინოს ხელგაშლილად ყიდულობს. ასე რომ ჩვენ მოსავალს ადგილობრივვე ვასაღებთ. ამ მოსაზრების დამამტკიცებელია თუნდ ის გარემოება, რომ სახელმწიფო სარდაფების ღვინო, რომელიც წინეთ განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთში იგზავნებოდა, დღეს დაპყრობილ ბაზარს თავს ანებებს და თბილისში ადგილობრივ სირაჩხანის კონკურენციას შესდგომია ალბად უნდა თბილისის მცხოვრებს გემოვნება გაუფუჭებოს და „მწკლარტე“ კახური ღვინის მაგიერ ევროპიულად დამუშავებულ ღვინოს შეაჩვიოს.

რასაკვირველია ასეთი მდგომარეობა დროებითი—შემთხვევითია და დამყარდება თუ არა წესიერი მიმოსვლა გზებზედ, მოწესრიგდება თუ არა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა, ძველი მდგომარეობა შემობრუნდება და ჩვენი ადგილობრივი მომხმარებელი ღვინისა ვერ შესძლებს გაუწიოს კონკურენცია უცხო მონხმარებელს და ჩვენც საშუალება მოგვეცემა გავიდეთ უცხო ბაზარზედ ჩვენი საქონლით. თუ საზოგადოდ ამ საქმის მოგვარება ჩვენ როგორმე მოვახერხეთ და ნაწარმოები როგორც გემოვნების ისე სავაჭრო აპარატის მოწყობის მხრივ მომხმარებლის დაუახლოვეთ ჩვენი ნაწარმოების გასაღება არას დროს არ დაბრკოლდება, რადგან მთელს ქვეყანაზედ მხოლოდ ოთხი ხუთი სახელმწიფოა (ისპანეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი), რომელთა ღვინის ექსპორტი აღემატება იმპორტს, ხოლო ყველა დანარჩენი ქვეყნები დიდი მასშტაბით ყიდულობს ღვინოს. ჩვენთვის საუკეთესო ბაზრად ღვინის გასაღებისათვის უნდა ჩაითვალოს რუსეთი. აქ ძველ რუსეთის საზღვრებში 200 მილ. მცხოვრებზედ 30—40 მილიონი ვედრო მიდიოდა წლიურად ანუ მცხოვრებზედ არა უმეტეს 3 ბოთლისა და მთელი კავკასია რომ სულ გაშენებულ ვენახებად იქცეს, მაშინაც ვერ დააკმაყოფილებს რუსეთის მოთხოვნილებას რომლის წლიური იმპორტი შესამჩნევად იზრდებოდა სისტემატიურად. მით უფრო ხელსაყრელია რუსეთთან დამოკიდებულება ღვინის ვაჭრობის მხრივ, რომ იქ უკვე რამდენადმე ცნობილი და სახელ მოხვეჭილია ჩვენი ღვინო და მომხმარებელიც მიჩვეული. საბადლო საქონლის შემოტანის მხრივაც, პურით მდიდარი სამხრეთ რუსეთი ჩვენთვის ხელსაყრელია. ასე რომ ვენახების სიმრავლის შიში ჩვენ სრულიად არ უნდა გვაწუხებდეს. სერიოზულ მეტოქეობას ჩვენ ღვინოს განჯის ღვინოები უწევენ რომელნიც ბევრად ნაკლებ ჯდებიან შემდეგი მიზეზით:

1. მოსავალი ნიადაგ-ზიადაგის სიმდიდრის და სიპოხიერის წყალობით დიდი იცის (1500 2000 ვედრომდე (საშუალოდ კი 750-800 ვედ.)

2. ვენახები თითქმის სულ სარწყავია და გვალვისა ამიტომ არ ეშინიან.

3. სეტყვა არ იცის.

4. იქაური ჯიშები ნაკლები ღირსებისა არიან, ვიდრე ჩვენი მწვანე საფერავ-რქაწითელი და სოკოს ავადმყოფობაც მათ ნაკლებ ერევათ.

5. განჯაში არიან შედარებით მსხვილი მევენახეები, რაც შესამჩნევად ამცირებს დამუშავების ხარჯს.

6. განჯის მარნები ტეხნიკურად საუკეთესოდ არიან მოწყობილნი, რაც ღვინის ხარჯსაც ამცირებს და გაყიდვასაც აადვილებს.

სამაგიეროდ განჯის ღვინო ღირსებით ბევრათ დაბლა სდგას ჩვენს ღვინოებზე და ამიტომაცაა რომ ერთ მილიონამდე ვედრო განჯის ღვინისა თბილისში ყოველ წელიწადს კახეთის ღვინის სახელით იყიდება, რადგან იგი ერთი ორად და ერთი სამად ნაკლები ღირს. უმთავრეს ღირსებად ჩვენი ღვინოებისა ბაზრის თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს ალკოჰოლის (სპირტის) და სიმჟავის ჰარმონიული შეზავება რაც შესაძლებლად ჰხდის მის შორს გაგზავნას. მისი სიმაგრე საშუალოდ 12° გარშემო ტრიალებს მაშინ როდესაც საფრანგეთის 1912 წლის მოსავლიდან (59,384,171 ჰექტოლ.) 52,519,776 ჰექტოლიტრი ანუ 88%-ით გრადუსზე ნაკლები იყო; 4,681.385 ჰექტ. ანუ 8%-ათიდან თერთმეტამდე და მხოლოდ 2,183,000 ჰექტ. ანუ 4%-11 გრადუსზედ ზევით. განჯის ღვინოც სიმაგრით და ისე სხვა ღირსებით ბევრად ნაკლებია ჩვენს ღვინოზედ და წინეთ რომ განჯის ღვინის შემოშვება საქართველოში აქაურ მევენახეთ ძლიერ გვაფიქრებდა, ეხლა შეგვიძლია ან ვსთქვათ, რომ ეს შიში უსაფუძვლოა, თუ რა თქმა უნდა ამ საკითხის კანონმდებლობის მხრივ და ჩვენი ღვინის უცხოეთში (რადგან განჯური ღვინო ტრანსპორტს ვერ იტანს ჩვენ ღვინოსთან შედარებით) გატანის მოწესრიგებით უზრუნველვყოფთ ჩვენს წარმოებას.

პირიქით, რადგან ჩვენში შესაძლოა ღვინის მოთხოვნილებამ იმდენს ომის წინა ხანებთან შედარებით და ჩვენ კი საკმარი მოსავალი არა გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უფრო ნაკლებ ფასიანი განჯის ღვინო გამოვიყენოთ, ხოლო ჩვენ ღვინოს ექსპორტის დანიშნულება მივსცეთ, როგორც აკეთებს საფრანგეთი ალჟირის ღვინოებით.

თუ მიუხედავათ ამ გარემოებისა, წინეთ ხშირად, ცოტად თუ ბევრად უხვ მოსავალში, ჩვენში ღვინის ფასი ძლიერ ეცემოდა და გაყიდვა ძლიერ ჭირდებოდა, ეს იმიტომ კი არა, რომ ღვინის გატანა შეუძლებელი იყო, არამედ იმიტომ, რომ კახეთის და საზოგადოდ საქართველოს მეღვინეობა ჯერ სულ პრიმიტიულ ნოეს დროინდელ წესით სწარმოებს: ყურძენი ფეხით იწურება; ღვინო ინახება აბდილ ცის ქვეშ ჩაყრილ ქვევრებში; ხშირად საკმარისი ჭურჭელიც არ მოიძებნება. მევენახე სრულიად მოსპობილია საშუალებას ამ პირობებში ღვინო შეინახოს, „თავი დაუჭიროს“ და რიგიან ფასს მოუცადოს, სამაგიეროდ ვაჭარს, რომელიც ჰქონდეს მას ხელმოკლეობა და დიდ ვალში ანებს აძულებს რაც შეიძლება მალე მოიშოროს მოსავალი და ნახევრად მაინც დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება. ამასთან სრულიად არ შემოდიოდა ჩვენში უცხო ვაჭარი, უცხო კაპიტალი და მთელი კახეთის მოსავალი უმთავრესად სირაჯხანას მინაბარებული იყო. ამიტომ ღვინის გამყიდავთა შორის იქმნებოდა კონკურენცია და ღვინო პირდაპირ ჩალის ფასად მიდიოდა.

მეღვინეთა კრიზისის მიზეზი ისიც არის, ჩვენებური წესით დამზადებულ ღვინოს გარეშე მომხმარებელი სრულიად არ ეტანება, ჩვენი ღვინის დალევა მას უმძიმს და უფრო ნაკლებ მწკლარტე ღვინოებს ეტანება, რომელნიც მართალია ღირსებით ბევრათ ნაკლებნი არიან მაგრამ სამაგიეროდ სასიამოვნო და ადვილი სასმელია. და თუ ჩვენ გვინდა გარეშე ბაზარზედ გასვლა ჩვენი ნაწარმოებით, აუცილებლად იძულებულნი ვიქნებით ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოთ და ჩვენი წესი ღვინის დამუშავებისა შევცვალოთ მომხმარებლის გემოვნებაზედ.

ჩვენდა სამწუხაროდ დღევანდლამდე ჩვენში ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. ჩვენი ღვინის ტიპის გადამუშავება სრულიად არ სწარმოებს. ამ მხრივ არც სახელმწიფო მამულს გაუკეთებია რამე—მან კახეთში გააშენა ვენახები, პირველათვე მოიწვია ფრანგი სპეციალისტები, რომელთაც საფრანგეთის ვაზის ჯიშები გადმოიტანეს მწვანე—საფერავის ქვეყანაში და შეუდგნენ კახეთში ფრანგულ მეღვინეობის შაბლონურად წარმოებას. ადგილობრივი ვაზითაც კი საკმაო ვენახები გააშენეს მაგრამ საფერავსაც კაბერნეს წესით დაუწყეს მორჯულება და მეავე ყურძნის მოკრეფა, ხოლო ადგილობრივი ჯიშების ადგილობრივ ტიპის გაუმჯობესებაზედ მათ სულ არ უფიქრიათ. რა თქმა უნდა ამ პირობებში თავის განსაკუთრებულ თვისებებს ჩვენებური ჯიშები სულ ვერ გამოიჩენდნენ. და დღესაც ჩვენში ორი წესია ღვინის დამუშავებისა: ან ძველი ადგილობრივი, ან ახალი „გაევროპიელებული“. ხოლო მათ შორის ჩვენი ჯიშებისთვის უფრო შესაფერი, ჯერ არ არის დამუშავებული.

არსებობს ერთგვარი ნახევრად ევროპიული ტიპი კახური ღვინისა ძმ. ვერმიშევების და ჯანდიერას ფირმის, წოდებული „По особому заказу“, რომელიც მომხმარებელს მოსწონს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბატ. ვერმიშევს არა აქვს ხელსაწყო პირობები რომ ამ ტიპის ღვინის ღირსება მაქსიმუმამდე აიყვანა. ყოველ შემთხვევაში ეს ცდა მეტად სასიამოვნოა და წასაბაძი, რომ გამოვიმუშავოთ ჩვენი საუკეთესო ჯიშებიდგან ისეთი ნაწარმოები, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნილებას, თორემ ევროპიულად ღვინის დაყენება ჩვენთვის (თუნდაც იგი საუკეთესო იყვეს) შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში ოც—ოცდაათ წელიწადზე ადრე, რადგან ამისთვის საჭიროა მეღვინეობის ტეხნიკის განვითარება, მეტად ძვირ სარდაფის მეურნეობის მოწყობა (მანქანები, ჭურჭელი, სარდაფები); და უმთავრესად კი კაპიტალი, რომელიც მოგვცემდეს საშუალებას მოსავლის ერთი და ორი წლით სარდაფში გაჩერებას. აქედან დასკვნა:

1. საქართველოს ყოველ წლიური საღეისო ღვინის მოსავალი, თუ ქართველ მშრომელი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, თვით საქართველოსაც არ ეყოფა.

2. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი კი მოითხოვს გამოიყენოს ყოველივე სოფლის მაღალ ღირსების ნაწარმოები საექსპორტოთ გამოსადეგი, ამ შემთხვევაში უპირველესი მათგანი ღვინო. ამისათვის საჭიროა ღვინის მოსავლის გაათკეცება რაც დამოკიდებულია ვენახების დამუშავების ინტენსიფიკაციაზედ და ვენახების სივრცის ზრდაზედ.

3. და რომ უზრუნველ ვყოთ ჩვენი ღვინის გარეშე ბაზარზედ გასაღება, საჭიროა დავუახლოვოთ ნაწარმოები მომხმარებლის გემოვნებას და მოთხოვნილებას.

4. ნაწარმოების გასაუმჯობესებლად საჭიროა: სპეციალური განათლება, მეღვინეობის ტეხნიკის გაუმჯობესება, წვრილ მევენახეთა შეკავშირება და ფართე სამელიორაციო კრედიტი.

გ. წინამძღვრიშვილი.

რედაქტორი **სარედაქციო კოლეგია**

გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

ახალი სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 4.